...ოფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში შემსვლელთათვის

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების
სახელმწიფო კომიტეტი

რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი

ცნობარი

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში შემსვლელთათვის (1982-83 სასწავლო წელი)

მესამე გამოცემა

გამომცემლობა „განათლება"
თბილისი—1982

~~373. 7 (С 41)~~
~~74.5 (21)~~
331.86 (47.922) (08)
Ц 805

ჭოფესიული-ტექნიკურ სასწავლებლებს შეგლილი ცნობარი

ცნობარში მოცემულია მოკლე დახასიათება იმ ძირითადი პროფესიებისა, რომლებიც ისწავლება საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, აგრეთვე აუცილებელი ცნობები მიღების, სწავლების პირობებისა და პროფ-ტექსასწავლებლების მოსწავლეთა და კურსდამთავრებულთათვის სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეღავათების შესახებ.

შ ე მ დ გ ე ნ ლ ე ბ ი: ბ. ლომაია, ი. პეტრენკო, ე. ბაკურაძე.

© 60 405—024 / М-602(08)-82 ბრძ. 3/16—82

რომ ოსტატი გახდე კარგი

აირჩიე რაც შენ მოგწონს,
საჭიროა ყველა დარგი.
ისწავლე და იბეჭითე,
რომ ოსტატი გახდე კარგი!

ვლ. მაიაკოვსკი

ძვირფასო მეგობრებო, 8 და 10 კლასდამთავრებულნო!

ვიდრე პროფესიას აირჩევდეთ, თვითკრიტიკულად შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობანი, ფიზიკური მონაცემები, უნარი და ჩვევები და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ გადაწყვეტილება.

ხარატი და მშენებელი, მკერავი და მექანიზატორი —ყველა ეს და სხვა პროფესია საინტერესო და საპატიოა.

საზოგადოების წამყვან ძალას მუშათა კლასი წარმოადგენს. სწორედ მისი უდიდებულესობა მუშათა კლასი ქმნის ჩვენი სამშობლოს მატერიალურ ფასეულობასა და დოვლათს.

ჩვენი სასწავლებლების კედლებში დიდი ცხოვრების საგზური მიიღეს მუშათა კლასისა და ტექნიკური ინტელიგენციის მთელმა თაობებმა. ჩვენს კურსდამთავრებულთა შორის არის 19 სოციალისტური შრომის გმირი, მრავალი სახელმწიფო და ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი, ორდენოსანი და შრომის ნოვატორი, თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მუშაკი.

საქართველოს 155 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში სწავლობს 62 ათასამდე ჭაბუკი და ქალიშვილი, რომლებიც 315 პროფესიას ეუფლებიან.

შემოქმედებითად მოაზროვნე სპეციალისტებს საჭიროებს ქალაქისა და სოფლის თანამედროვე წარმოება.

პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში სწავლა დაგეხმარებათ ცხოვრებისეული პოზიციის სწორად განსაზღვრაში.

თუ თქვენ 8 კლასის დამთავრების შემდეგ სურვილი გექნებათ სწავლა განაგრძოთ საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, მუშის პროფესიასთან ერთად მიიღებთ საშუალო განათლების დიპლომსაც, ხოლო ის მოსწავლე, რომელიც წარჩინებით დაამთავრებს, უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხება დაწესებული შეღავათებით. 10 კლასის დამთავრების შემთხვევაში მუშის პროფესიის მიღება შეგიძლიათ ტექნიკურ სასწავლებელში, სადაც სწავლების ვადა ერთი წელია.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებს ეძლევათ სტიპენდია, ფორმის ტანსაცმელი, აგრეთვე ფულადი ანაზღაურება საწარმოო პრაქტიკის გამომუშავებიდან, კვება უფასოა.

რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ახალგაზრდებს ემსახურება თანამედროვე მოწყობილობებითა და მექანიზმებით, სასწავლო თვალსაჩინოებითა და ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსებით აღჭურვილი სასწავლო სახელოსნოები და კაბინეტ-ლაბორატორიები. საინტერესოდ და მრავალფეროვნად არის ორგანიზებული თავისუფალი დრო. მათ განკარგულებაშია ტექნიკური შემოქმედების, მხატვრული თვითშემოქმედების წრეები, სპორტული სექციები და კომპლექსები, კლუბები, ბიბლიოთეკები.

სასწავლებელში მიღების, სწავლების პირობებისა და სახელმწიფო შეღავათების შესახებ უფრო ვრცელი ცნობების გაგება შეგიძლიათ ამ ცნობარიდან.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებში!

პატიოსნად შესრულებული მოვალეობის გრძნობა

როცა სასწავლებელში ვღებულობ ახალ აღსაზრდელებს, მათთან საუბრისას ვხარობ მათი სილამაზითა და ახალგაზრდობით. ვფიქრობ იმაზე, რომ ვერც სიჭაბუკე, ვერც ახალგაზრდული შემართება ვერ შეამკობთ მათ ისე, როგორც საყვარელი საქმე. წარმომიდგენია ერთი-ორი წლის შემდეგ, თუ როგორ შეიძენენ ისინი ადამიანისათვის საჭირო რწმენას, განიმტკიცებენ ზნეობრივ იდეალებს, ეზიარებიან მუშური სიამაყის გრძნობას, გაიგებენ დროის ფასს, განიცდიან პატიოსნად შესრულებული მოვალეობის სასიხარულო გრძნობას — და ყოველივე ეს მათ სახეზე აღბეჭდავს მშრომელი კაცის განსაკუთრებულ სიმშვენიერეს.

აი, რატომ ვეუბნები ყოველთვის ჩემს აღსაზრდელებს: გზა, რომელიც თქვენ აირჩიეთ,— სწორი გზაა. და ამაში ჩემი მაგალითიც არწმუნებს მოსწავლეებს.

თხუთმეტი წლის გოგონა ჩამოვედი თბილისში ცხაკაიის რაიონის სოფელ ნოსირიდან საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში შესასვლელად. უკან დარჩა ბავშვობის მძიმე წლები: დედა ადრე მოშიკვდა, მამა ხუთ ბავშვს გვზრდიდა; საკუთარი მაგალითით იგი ჩვე-

ნში მუდამ ნერგავდა შრომისმოყვარეობას, მოვალეობის გრძნობასა. იჩენდა მზრუნველობას ყველა მათდამი, ვინც ამას საჭიროებდა. ამ თვისებებს ვუნერგავ დღეს ჩემს მოსწავლეებს, რადგან სწორედ ეს თვისებები დამეხმარა მეპოვნა ჩემი ადგილი მუშათა კოლექტივში, გავმხდარიყავი კარგი მრთველი, დამემსახურებინა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება, უმაღლესი საბჭოს დეპუტატობა და, რაც მთავარია, გავმხდარიყავი ხალხისათვის სასარგებლო პიროვნება.

მე მივმართავ ჩვენს ახალგაზრდებს: გიყვარდეთ შრომა, რადგან ის მოგიტანთ თქვენ სრულყოფილ ბედნიერებას.

ეთერ სოლომონია

თბილისის ზოია რუხაძის სახ. № 36 სასწავლებლის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი.

მუშური სიამაყის გრძნობა

უკანასკნელ წლებში, თბილისის ავიომშენებელთა კოლექტივი საგრძნობლად გაახალგაზრდავდა: ჯერ კიდევ ათი წლის წინათ, საშუალო წლოვანება წარმოადგენდა 40 წელს, ახლა კი 33 წელს.

სამუშაოს 70%-ს ქარხანაში ახალგაზრდობა ასრულებს. ახალგაზრდობის უმეტესობა კი პროფტექგანათლების სისტემის კურსდამთავრებულია.

ახალგაზრდობა იმიტომ მოისწრაფვის პროფტექგანათლების სისტემისაკენ, რომ აქ ყველა პირობაა შექმნილი მუშათა კლასის ღირსეული ცვლის აღზრდისათვის. აქ ზრუნავენ მათ პროფესიულ ზრდაზე, მათ ყოფაზე, სულიერ მოთხოვნებზე, აქ გულწრფელად არიან დაინტერესებული მათი მუშური და ადამიანური ბედით.

მე ხარატი ვარ და ვამაყობ მუშის სახელით. მუშათა კოლექტივმა აღმზარდა მე, როგორც სპეციალისტი, ამიყვანა საზოგადოებრივი მოღვაწეობის მაღალ საფეხურზე, მომანდო მუშათა კოლექტივის ინტერესების წარმოჩენა საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

არის კიდევ ერთი წოდება, რომლითაც მე განსაკუთრებით ვა-

მაყობ, ესაა ახალგაზრდობის დამრიგებლის წოდება. უფლება, ალბა-
რდო ახალგაზრდა ცვლა, მოიპოვება ყოველდღიური შრომით, სწა-
ვლით (მე ვარ უმაღლესი პარტიული სკოლის სტუდენტი), ქცევით.

მოვიპოვე, რა ახალგაზრდობის ნდობა, მე როგორც დამრიგებ-
ელმა, შემიძლია მივმართო მათ სიტყვებით:

„ამაყად დაადექით მუშურ გზას, იშრომეთ პატიოსნად, გაუფ-
რთხილდით მუშურ ღირსებას, ნამდვილ მუშას არ სჩვევია საქმისა-
დმი გულგრილობა, იყავით ღირსეული ცვლა მუშათა კლასის.“

ტრიფონ როსტიაშვილი

თბილისის დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის ხარა-
ტი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომი-
ტეტის ბიუროს წევრი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი
საბჭოს დეპუტატი, ახალგაზრდობის დამსახურებული
დამრიგებელი.

ნაცადი გზა

სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა ახალი ნაკადის მიღებას. ერთნი გააზრებული ნაბიჯით, მტკიცე განზრახვით შემოდიან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. მეორენი ოჯახური მდგომარეობის გამო, მაგრამ ისევე მტკიცე სურვილით მიიღონ ის პროფესიული ცოდნა, რომელიც მათ ცხოვრებაში ფეხზე დააყენებთ და მომავალში მათთვის მთავარი და საყვარელი იქნება. სხვებს მასწავლებლები აიძულებენ: „თუ არ ისწავლი, გაგაგზავნით პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში“. და ისინიც მოდიან სასწავლებელში. პირველებს სიხარულით ვხვდებით, ისინი ადვილად შეერწყმიან ჩვენს მუშურ რიგებს, მეორენი უნდა წავახალისოთ, შევიყოლიოთ; ხოლო უკანასკნელთ ესაჭიროებათ დარწმუნება იმაში, რომ ისინი „ბედუკულმართნი“ არ არიან. რა დაარწმუნებთ მათ ამაში ყველაზე მეტად, თუ არა დამრიგებელთა მაგალითი, მათი მუშური ბედი?

თანდათან უფრო მეტად გამოცდილი ოსტატი და დამსახურებული მუშა მოდის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. ეს იმიტომ, რომ ჩვენ, მუშათა გვარდიის ვეტერანებს, გვსურს არამარტო

ჩვენი ოსტატობა გადავცეთ ახალგაზრდებს, ვანდოთ ჩვენი საქმე, არამედ მუშათა კლასის საუკეთესო ტრადიციებიც. ჩვენ განათლებით პედაგოგები არა ვართ და შესაძლოა ჩვენს ზნეობრივ გაკვეთილებს აკლდეს სიახლე, მაგრამ ამ გაკვეთილების განსაკუთრებული ღირსება, მე ვფიქრობ, იმაშია, რომ ყველაფერს, რასაც ჩვენ ამაყად ვამბობთ მუშათა კლასზე, გამოცდილი გვაქვს საკუთარი შრომით.

დავიბადე ღარიბი გლეხის ოჯახში. 1942 წელს დავამთავრე შვიდწლედი და მაშინვე გავემგზავრე ქლუხორის უღელტეხილზე, რათა სხვებთან ერთად დავხმარებოდი წითელი არმიის მეომრებს. შემდეგ დავამთავრე საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებელი და მთელი ოცდათვრამეტი წელი ვიშრომე ტყვარჩელის მაღაროში. რასაკვირველია, არ მინდა ვუთხრა მოსწავლეებს, რომ თითქოს ეს შრომა ადვილი და სალაღობო იყო, რადგან კეთილსინდისიერი შრომა არსად არ არის ადვილი და მით უფრო მაღაროში,მაგრამ გაცილებით ძნელია იცხოვრო იმ აზრით, რომ არ შეგისრულებია მოვალეობა, რომ არ გაგიკეთებია ყოველივე ის, რისი უნარიც შეგწევდა. ისე კი მაღაროში მუშაობა მხოლოდ ვაჟკაცთა ხვედრია.

მაღაროელის შრომას კარგი გასამრჯელოც და სახელმწიფოებრივი დაფასებაც აქვს. არაფერი შეედრება თანამშრომლების, ამხანაგების დაფასებას, ხალხის აღიარებას, სამშობლოს მაღალ ჯილდოებს და შესრულებული მოვალეობის გრძნობას.

შევიცანი რა ყოველივე, შემიძლია მივმართო ყმაწვილებს:

„თამამად დაადექით შრომით გზას. იგი ნაცადია იმ მრავალი ათასი ადამიანის ბედით, რომლებმაც ამ გზაზე მოიპოვეს სრულფასოვანი ბედნიერება“.

ლეონტი ტყებუჩავა

ქ. ტყვარჩელის № 22 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი.

რკინისა და ფოლადის მესაიდუმლე

საქართველო უხსოვარ დროიდან ხალიბთა ქვეყნად იწოდებოდა. რკინისა და ფოლადის საიდუმლოებას ადრევე ეზიარა ჩვენი წინაპარი, მაგრამ ჟამთა ავბედობას ამ საიდუმლოებისათვის დავიწყების ფერფლი მოუყრია.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... ძველი ჰერეთის მიწაზე მეტალურგიის გიგანტის ასაშენებლად პირველი სვის გამტანთ შორის პროფტექგანათლების სასწავლებლის კურსდამთავრებულებიც იყვნენ. ერთ-ერთი მათგანია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე, ლენინური პრემიის ლაურეატი პავლე წერეთელი.

ეს იყო 1950 წელს, როცა ჭიათურის № 9 სახელოსნო სასწავლებლის აღზრდილი საჩხერელი ჭაბუკი პირველად მივიდა მილსაგლინავ საამქროში. მუყაითობამ, მაღალმა პასუხისმგებლობამ და მინდობილი საქმისადმი სიყვარულმა თავისი გაიტანა. უბნის ოსტატი, ცვლის უფროსი, საამქროს უფროსი, მთავარი ინჟინრის მოადგილე — საშაგალითო კომუნისტისა და ორგანიზატორის გზა, რომელიც გაიარა საჩხერელმა ჭაბუკმა.

1962 წელს სასიხარულო ცნობა მოვიდა საქართველოში. ევროპაში პირველად დგან „400“-ის საწარმოო პროცესების სრული ავტომატიზაციის დამუშავება-დანერგვისათვის ქარხნის სხვა სპეციალისტებთან ერთად პავლე წერეთელს ლენინური პრემია მიენიჭა. გამოგონება იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მან მსოფლიო პრესის ყურადღება მიიქცია.

მიუხედავად დიდი სამსახურებრივი დატვირთვისა, საქვეყნოდ ცნობილი ინჟინერი ყოველთვის პოულობს დროს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეთათვის, რომლებისთვისაც პავლე წერეთელი ყოველთვის იქნება სანიმუშო მუშური პროფესიით შეიარაღებული კაცის საუკეთესო მაგალითი.

პავლე წერეთელი

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთ. ინჟინერის მოადგილე ლენინური პრემიის ლაურეატი.

შვილებზე ზრუნვით

თუ არა ჩვენ, მშობლები, ყველაზე მატად ვინ უნდა იყოს დაინტერესებული ჩვენი შვილების ბედნიერებით. თუ არა ჩვენ, ვინ უნდა იზრუნოს მათ პირად ბედნიერებაზე, მათ ადგილზე საზოგადოებაში?

თუ ასეთი ზრუნვა, დამოკიდებულება მათი ბედისადმი იგრძნეს შვილებმა, რა თქმა უნდა, ეს ზეგავლენას მოახდენს მათი შემდგომი ცხოვრების გზის არჩევანზეც.

აი, ამიტომაც ჩემმა შვილმა მარინემ გადაწყვიტა რვა კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა გაეგრძელებინა პროფტექნიკურ სასწავლებელში.

მე, როგორც მშრომელთა აქტივის წევრი, ხშირად დავდივარ თბილისის № 36 საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელში. ვღებულობ მონაწილეობას თითქმის ყველა ღონისძიებაში და ყოველთვის აღტაცებული ვრჩები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი ორგანიზაციით, იმ განსაკუთრებული სულიერი ატმოსფეროთი, რომელიც სუფევს ამ სასწავლებელში და რომელიც ღირსეულად ატარებს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის სახელს. აქ მე ვხვდები ჯანსაღ, ჰარმონიულ, ახალგაზრდულ კოლექტივს, აღმ-

ზრდელების მშობლიურ დამოკიდებულებას მოსწავლეებისადმი. და მე არ მიკვირს, რომ ჩემმა უმცროსმა ქალიშვილმაც გადაწყვიტა სწავლა გააგრძელოს ამ სასწავლებელში.

მადლობა თქვენ, ჭეშმარიტ აღმზრდელებს, ჩემი ქალიშვილებისა და ასეულობით მათი თანატოლების სახელით, რომელთათვისაც სასწავლებელი გადაქცეულა ნამდვილ შრომით ოჯახად.

გიორგი კურტანიძე

თბილისის ქარხანა „ცენტროლიტის" მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი.

ჩავწვდეთ შრომის დიად აზრს

1944 წელს, ფრონტზე ამაოდ გაქცევის შემდეგ, 12 წლის ბიჭი შევედი კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანასთან არსებულ საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში. იმჟამად იქაც სამხედრო შეკვეთები სრულდებოდა, ნამდვილი ფრონტი იყო. ომისდროინდელმა და ომისშემდგომმა მძიმე დღეებმა მოგვცა შესაძლებლობა ბიჭებს, სრულად ჩავწვდომოდით დიდი მიზნისათვის შრომის დიად აზრს. იმ წლებში ყველაზე დიდი მიზანი მტერზე გამარჯვება იყო, დღეს კი ჩემი ხალხის კეთილდღეობაა.

უკან დარჩა 1944 წელი, მაგრამ ჩემთვის ის ყოველთვის დღევანდელი დღეა, რადგან ის ჩემი მუშური ბედის საწყისია. საქარხნო-ფაბრიკო სასწავლებელში სწავლასა და პირველ მუშურ ნაბიჯებს მე ვუწოდებ ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს, ხოლო იმ წლებში შეძენილ ცხოვრებისეულ გამოცდილებას — ყველაზე დიდ სიმდიდრეს. დღეს ამ სიმდიდრეს მინდა ვაზიარო ახალგაზდობა. სწორედ ამ სურვილმა ქარხანაში 40 წლის მუშაობის შემდეგ კვლავ მომიყვანა პროფტექნიკურ სასწავლებელში.

საწარმოო სწავლების ოსტატებს დღეს დიდი ტექნიკური ცოდნა მოეთხოვებათ. ჩვენ ხელობას 8 კლასის დამთავრების გარეშე, ცხელ ჩარხებთან ვეუფლებოდით, გარდა ამისა, მოსწავლედ დიდხანს ყოფნის საშუალებას დრო არ გვაძლევდა. დღევანდელი მოსწავლეები კი საწარმოო პრაქტიკაზე მოდიან სპეციალური დაზგების საამწყობო საამქროში, რომელსაც გაზვიადების გარეშე შემიძლია აკადემია ვუწოდო. დღეს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი საშუალო განათლებასაც იძლევა. დღეს მუშა ხარ, ხვალ — ინჟინერი. უმაღლესი განათლების მისაღებად, პროფესიის სრულყოფილად დასაუფლებლად სასწავლებელი საუკეთესო სასტარტო მოედანია.

საბჭოთა არმიის რიგებიდან ახლახან დაბრუნდა ჩემი ახალგაზრდა მეგობარი ამირანი, ჩემი ყოფილი მოსწავლე, პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული. მე მჯერა მისი, მისი მუშური სინდისისა, რომელიც იმავე სასწავლებელში ჩამოყალიბდა, რომელშიც მე ვსწავლობდი, მერე მისი დამრიგებელი გავხვდი. სწორედ მას უნდა გადავცე საზეიმოდ კიროვის სახელობის საქვეყნოდ ცნობილ ქარხანაში ჩემი სამუშაო დაზგა, ინსტრუმენტები და მათთან ერთად რწმენაც, რომ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულები ჩვენ, ვეტერანებს არ შეგვარცხვენენ.

შოთა ფირცხალავა

ქ. თბილისის № 6 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო. სწავლების ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი

სხვებსაც ვურჩევთ

ჩვენმა ვაჟიშვილმა რვა კლასის დამთავრების შემდეგ დაუჯერა ჩვენს რჩევას და სწავლა განაგძო პროფტექნიკურ სასწავლებელში. პედაგოგთა ყოველდღიური ზრუნვის შედეგად იგი უკვე ისე დაეუფლა მკერავის პროფესიას, რომ უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიიღოს კონკურსში „პროფესიაში საუკეთესო". იგი დარწმუნებულია თავის წარმატებაში, ვინაიდან საამისოდ მას გააჩნია ცოდნაც, უნარიც და გატაცებაც. მადლობა მინდა ვუთხრა 30 წლის სტაჟის მქონე ოსტატ ნ. ბექაურს, რომელიც მშობლიურ ზრუნვას არ აკლებს ჩემს შვილსა და მის თანატოლებს.

სასწავლებელში კარგადაა ორგანიზებული ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებაც. ჩემი შვილი მეცადინეობდა რუსული ენის ინტენსიური სწავლების ექსპერიმენტალურ ჯგუფში. განსაკუთრებით მოსაწონია მოსწავლეების მონაწილეობა საგნობრივ ოლიმპიადებში, რომლებიც საინტერესოდ და მაღალ დონეზე ტარდება.

კმაყოფილები ვართ ჩვენც და ჩვენი შვილიც.

დავით გოჩიაშვილი

პედაგოგი, (ქ. რუსთავი).

საუკუნიდან საუკუნემდე

საუკუნიდან საუკუნემდე
ვუვლით,
ვპატრონობთ,
ვლოცავთ და ვფიცავთ
მტერთაგან ბევრჯერ აჩეხილ ვაზს თუ
საკუთარ სისხლით დანამულ მიწას.
რამდენი გვთელეს,
რამდენი გვკაფეს,
და მაინც შეგვრჩა რჯულიც და სულიც;
ნეტავ, თუ იყო ქვეყნად მეორე,
სამშობლოვ, ჩემო,
შენზე ჯვარცმული?!

პაატა გურგენიძე
თბილისის № 18 საშუალო
პროფტექნიკური სასწავლებლის
მოსწავლე

პიროვნება მარტო იმით როდი ხასიათდება, თუ რას აკეთებს, არამედ იმით თუ როგორ აკეთებს...

ფ. ენგელსი

განათლება საგანძურია, შრომა კი — მისი გასაღები.

პ. ბუასტი

ფიზიკური შრომა არათუ გამორიცხავს გონებრივი მოღვაწეობის შესაძლებლობას, არათუ აუმჯობესებს მის ღირსებას, ახალისებს კიდევაც მას.

ლ. ტოლსტოი

შრომაა უდიდესი სიქველე ქვეყნად.

კ. გამსახურდია

შენი ცხოვრება ისეთ პირობებში უნდა ჩააყენო, რომ შრომა აუცილებელი იყოს. უშრომლად შეუძლებელია წმინდა და მხიარული ცხოვრება.

ა. ჩეხოვი

ქვეყანა ტაძარი კი არ არის, საცა კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს.

ი. ჭავჭავაძე

ის ვინც ტყუილუბრალოდ დაკარგავს დღეში თუნდაც ნახევარ საათს, კარგავს უფლებას იწოდებოდეს ადამიანად.

ჩ. დარვინი

ქვემოთ დასახელებულია ის პროფესიები, რომლებითაც ხორციელდება ახალგაზრდა კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადება საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების საშუალო პროფტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში 1982-83 სასწავლო წელს.

№		პროფესიის დასახელება	საშუალო პროფტექ-ნიკური	ტექნიკური სასწავლებლები
1	2	3	4	5
		I. მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება		
1	1/10	ქიმიური ანალიზის ლაბორანტი		№ 144
2	1/13	ამწის მემანქანე		№№ 94, 144
3	1/20	ელექტროდანადგარების მომსახურე ელექტრომონტიორი	№ 8, 25	№№ 33, 51, 39, 97, 144, 145,
4	1/21	ელექტრომოწყობილობათა შემკეთებელი ელექტრომონტიორი		№№ 25, 104, 112, 145
5	1/22	ელექტროდანადგარების მომსახურე ელექტრომონტიორი (ელექტრომოწყობილობათა შემკეთებელი ელექტრომონტიორი)	№№ 3, 16, 53, 112	№№ 112,
6	1/23	მხაზველი		№ 26
7	1/29	ლითონის მოდელების მემოდელე	№ 4	
8	1/35	ხელით მეყალიბე	№ 4	
9	1/41	მჭედელმტვიფრავი		№ 38
10	1/48	ღუმლის თერმისტი (აბაზანების თერმისტი, მ. ძ. დ. მოწყობილობის თერმისტი)	№ 4	
11	1/53	ცივად ტვიფვრის მოწყობილობის გამმართველი	№ 112	

1	2	3	4	5
12	1/54	მტვიფრავი.	№№ 53, 62, 113	№№ 51, 60, 145, 147
13	1/55	აირშემდუღებელი	№ 62, 53	№ 61, 81
14	1/58	ელექტროაირშემდუღებელი (ნახევრად ავტომატური მანქანების საშემდუღებლო სამუშაოების კონტროლიორი)	№№ 5, 12, 15, 22, 16, 28, 57, 70, 61, 99, 113, 148,	
15	1/62	ხელით შედუღების ელექტროშემდუღებელი	№№ 5, 14, 18, 47, 53, 113, 112, 70	№№ 18, 26, 46, 59, 70, 81, 85, 33, 94, 112, 124, 40, 125, 144, 145, 154, 62
16	1/68	ჩარხისა და [illegible]ზეინკლო სამუშაოების კონ[illegible]ოლიორი		№№ 33, 112, 125
17	1/76	პროგრამული ქართვის ჩარხის ოპერატორი	№№ 4, 5, 6, 95, 99	
18	1/78	ხარატი	№№ 4, 99, 112	№№ 5, 25, 26, 32, 33, 38, 49, 58, ფ. 125, 133, 109, 145, 147, 60
19	1/79	ხარატი (ხარატი მერევოლვერე, ხარატი მეკარუსელე, ჩარხის პროგრამული ქართვის ოპერატორი)	№№ 3, 4, 5, 6, 8, 12, 95, 99,	№ 38 №№ 38
20	1/83	ხარატი — მერევოლვერე		№ 60
21	1/84	ავტომატური და ნახევრად ავტომატური ხაზის ოპერატორი		

1	2	3	4	5
22	1/85	მღარავი	№№ 1, 5, 112, 148	№№ 26, 38, 147,
23	1/86	მღარავი (კბილმჭრელი, კბილგამომყვანი ჩარხის ოპერატორი)	№ 4, 6, 95	
24	1/87	მღარავი (ხარატი — მრანდავი, პროგრამული მართვის ჩარხის ოპერატორი)	№№ 8, 95	
25	1/98	მღებავი		№ 135
26	1/105	ელექტროსამონტაჟო სამუშაოების წუნმდებელი		№ 97
27	1/108	საკონტროლო საზომი ხელსაწყოებისა და ავტომატის გამმართველი	№ 6	
28	1/110	ზეინკალ-მეიარაღე	№ 6	
29	1/111	მექანიკურ საამწყობო სამუშაოთა ზეინკალი	№ 1, 63, 148	№№ 5, 32, 26, 38, 48, 49, 51, 52, 59, 72, 97, 133, 150, 112
30	1/112	მექანიკურ-საამწყობო სამუშაოთა ზეინკალი (მზომავი, ჩარხებისა და საზეინკლო სამუშაოების წუნმდებელი)	№№ 1, 4 6, 95, 8, 63, 52, 112	№№ 60, 150, 58 ფ.
31	1/113	საკონტროლო საზომი ხელსაწყოების, დანადგარების და ავტომატების ზეინკალი	№ 16	№ 33
32	1/115	ზეინკალ-შემკეთებელი	№№ 1, 3 4, 25 16, 52, 14, 53, 69, 64, 93, 99, 112, 63, 139,	№№ 8, 31, 33, 38, 53, 51, 97, 104, 112, 145, 94
33	1/116	ზეინკალ-ელექტრომემონტაჟე	№ 53	№№ 33, 49, 97, 99, 142, 145, 58ფ

1	2	3	5	5
34	1/137	გემის ლითონის კორპუსების ამწყობი (ხელით. შედუღების ელექტრო-შემდუღებელი, აირშემდუღებელი)	№ 12	
35	1/138	გემის ლითონის კორპუსების ამწყობი		№ 135
36	1/141	გემის ზეინკალ-მემონტაჟე	№ 12	
37	1/142	ზეინკალი — გემის მემონტაჟე		№ 135
38		საბუღალტრო აღრიცხვა.		№ 34
		II. გეოლოგიურ-სადაზვერვო, ქვანახშირის სამთამადნო მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობა		
1	2/2	მექანიკური გამოცდის ლაბორანტი		№ 153
2	2/3	ქიმიური ანალიზის ლაბორანტი		№ 94, 144
3	2/4	ქიმიურ ბაქტეროლოგიური ანალიზის ლაბორანტი	№ 118	
4	2/14	ავტომობილის შემკეთებელი ზეინკალი (რომელსაც აქვს დიდი სატვირთო მანქანების მართვის უფლება)	№№ 45, 110	№ 25, 142
5	2/15	გამყვანები		№ 129
6	2/18	საწმენდი სანგრევის სამთო მუშა		№ 129
7	2/22	გვირაბგამყვანი და საწმენდი მანქანების მემანქანე		№ 129
8	2/24	სატრანსპორტო სატვირთო მანქანის მემანქანე		№ 129
9	2/26	მიწისქვეშა ელმავლის მემანქანე	№ 20, 40 84	№№ 129, 136,
10	2/27	გვირაბგამყვანი		№ 136
11	2/28	მიწისქვეშა ელექტროზეინკალი	№ 19, 22	№ 136, 22, 129

1	2	3	4	5
12	2/29	ელექტროზეინკალი (ზეინკალი) მორიგე და მოწყობილობათა შემკეთებელი	№№ 20, 22	
13	2/30	ჭაბურღილის მბურღავი, რომელსაც შეუძლია ელექტროზეინკლის (ზეინკლის) მორიგის და მოწყობილობათა რემონტის II თანრიგის სამუშაოების შესრულება	№ 25	№№ 63,
14	2/34	ექსკავატორის მემანქანე (რომელსაც შეუძლია II თანრიგის ელექტროზეინკლის (ზეინკლის) მორიგის და მოწყობილობათა რემონტის სამუშაოების შესრულება).	№	№ 40
5	2/36	ელექტროზეინკალი (ზეინკალი) მორიგე და დანადგარების შემკეთებელი (რომელსაც შეუძლია II თანრიგის ელექტროაირშემდუღებლის სამუშაოების შესრულება)	№	№ 94
16	2/40	ფართო პროფილის გამამდიდრებელი	№ 25	№ 129
17	2/42	ელექტროზეინკალი (ზეინკალი) მორიგე და დანადგარების შემკეთებელი	№№ 20	
18	2/76	შავი ლითონების წარმოების წუნმდებელი		№ 94
19	2/77	მეტალურგიული წარმოების ამწის მემანქანე	№№ 3, 99	№№ 33, 94, 144, 145, 148,
20	2/93	მარტენის ღუმლის მეფოლადის ხელშემწყობი; ფოლადის ჩამომსხმელი (რომელსაც შეუძლია II თანრიგის მეჯალამბრის სამუშაოების შესრულება)	№ 3	

1	2	3	4	5
21	2/100	ცივად გლინვის მვალცავი (რომელსაც შეუძლია II თანრიგის მეჯალამბრის სამუშაოების შესრულება)		№ 94
22	2/105	ცივად გლინვის მვალცავი (რომელსაც შეუძლია II თანრიგის ზეინკალ-შემკეთებლისა და II თანრიგის მეჯალამბრის სამუშაოების შესრულება)		№№ 94,
23	2/113	ფეროშენადნობის მდნობელი		№№ 99, 143, 144
24	2/129	ამდიდავი		№ 144
25	2/146	მეაპარატე (ქიმიური წარმოების ფართო პროფილის)		№ 104, 16
26	2/151	მეაპარატე (რომელსაც შეუძლია ქიმიური ანალიზის წარმოების II თანრიგის ლაბორანტის სამუშაოების შესრულება)	№ 16	
27	2/153	მეაპარატე (რომელსაც შეუძლია II თანრიგის ქიმიური წარმოების, საკონტროლო-საზომი დანადგარებისა და ავტომატიკის ზეინკლის სამუშაოების შესრულება).	№ 16	
28	2/163	პლასტმასის ნაკეთობათა მწნეხავი (რომელსაც შეუძლია II თანრიგის ჩამომსხმელისა და II თანრიგის მვალცავის სამუშაოს შესრულება).		№ 51, 132
29	2/167	დაჭიმვისა და გრეხვის ოპერატორი; მგრეხავი (რომელსაც შეუძლია II თანრიგის ტექნოლოგიური პროცესის კონტროლიორის სამუშაოს შესრულება)	№ 16	
30	2/168	გაჭიმვისა და გრეხვის ოპერატორი, მგრეხავი (რომელსაც შეუძლია II თანრიგის ფიზიკურ-		№ 104

1	2	3	3	5
		ქიმიური გამოცდების ლაბორანტის სამუშაოების შესრულება)		
31	2/170	გაჭიმვისა და გრეხვის ოპერატორი (რომელსაც შეუძლია II თანრიგის ტექნოლოგიური პროცესის კონტროლიორის სამუშაოების შესრულება)		№ 104
32	2/177	ძაფების მრთველი		№№ 124
33	2/244	მგრეხავი		№ 124, 104
		III. ენერგეტიკული და ენერგოტექნიკური მრეწველობა		
1	3/14	ელექტრომანქანების შემკეთებელი ელექტროზეინკალი		№ 33
2	3/29	ელექტროდანადგარებისა და ხელსაწყოების აწყობის კონტროლიორი		№ 49
3	3/35	ელექტროდანადგარებისა და აპარატების ზეინკალამწყობი		№№ 33, 29, 49
4	3/37	ელექტრომემონტაჟე — სქემების შემდგენელი	№ 61	№ 38
5	3/56	ელექტროტექნიკის დეტალებისა და ხელსაწყოების კონტროლიორი		№ 132
6	3/7	სარელეო დამცველის შემკეთებელი ელექტრომონტიორი		№ 79
7	3/68	ტექნოლოგიური მოწყობილობის გამწყობები	№ 140	
8	3/69	ვაკუუმური დაფრქვევის პროცესების ოპერატორი (დიფუზური პროცესების ოპერატორი; ეპიტაქსიური ლენტის დარღვევის ოპერატორი)		№№ 99, 79
9	3/72	მიკროსქემის ამწყობი	№ 140	№№ 79

1	2	3	3	5
10	3/73	ნახევრად გამტარული ხელსაწყოებისა და მიკროსქემების ამწყობი		№№ 98
11	3/79	რადიო- დეტალების ტექნოლოგიური მოწყობილობის გამწყობი		№ 79
12	3/103	კოჭის გადამხვევლები		№ 133
13	3/100	რადიოაპარატურებისა და დანადგარების მემონტაჟე		№№38, 49, 58, 33 79, 97, 133, 150
14	3/106	რადიოაპარატურის მარეგულირებელი.		№ 133
		IV. მშენებლობა, სამშენებლო მასალების მრეწველობა; ხის დამმუშავებელი მრეწველობა		
1	4/1	მეარმატურე, მებეტონე	№№ 44, 66	№№ 105, 46, 152
2	4/4	კალატოზი		№№ 109
3	4/5	კალატოზი, ფოლადისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების მემონტაჟე	№№ 17, 19, 28, 44, 45, 62, 68, 113, 139	№№ 139, 46 58, 68, 105, 18, 108, 143, 152
4	4/9	ხურო		№№ 87, 58
5	4/10	დურგალი (სამშენებლო), ხურო	№№ 12, 17, 18, 28, 44, 45, 62, 29, 110 80	
6	4/11	დურგალი (სამშენებლო); მეპარკეტე	№№ 71, 25, 17, 21, 44, 113, 7	№ 78, 105

1	2	3	4	5
7	4/15	ავტოკომპრესორის მემანქანე	№ 54	
8	4/18	ბულდოზერის, სკრეპერის მემანქანე	№№ 44, 58, 20, 89, 70, 110, 54, 25	№№ 46,87, 143 54, 68
9	4/24	ავტოამწის მემანქანე	№№ 18, 70, 25, 110, 47	№№ 78, 143, 108
10	4/29	ამწის მემანქანე (მეამწე), რომელსაც შეუძლია კოშკურა-თვითმსვლელი ამწის მართვა	№ 54	№№ 46, 143
11	4/31	ამწის მემანქანე (მეამწე), რომელსაც შეუძლია მუხლუხა და პნევმატიკური ამწის მართვა		№ 17, 152
12	4/34	ერთჩამჩიანი ექსკავატორის მემანქანე	№№ 54, 70,	№№ 46, 87, 142, 113, 143, 152
13	4/45	საერთო დანიშნულების დანადგარებისა და საერთო მონტაჟის სამუშაოთა ზეინკალ-მემონტაჟე	№№ 28, 61	№№ 28, 61
14	4/53	საწარმოო დანადგარებისა და კვების მრეწველობის ზეინკალ-მემონტაჟე	№ 53	
15	4/62	სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების ზეინკალ-მემონტაჟე	№ 139	№ 139
16	4/70	აპარატურის ხელსაწყოების გამართვისა და სისტემის ავტომატური კონტროლის რეგულირებისა და მართვის ზეინკალ-მემონტაჟე	№ 47	№ 47
17	4/76	სავენტილაციო სისტემის დეტალების დამამზადებელი ზეინკალ-მევენტილატორე	61	№№ 137

1	2	3	4	5
18	4/49	საქვაბე დანადგარების ზეინკალ-მემონტაჟე	№ 47,	№ 47
19	4/77	ზეინკალ-სანტექნიკოსი	№№ 7, 52, 62, 28, 44, 61, 110, 18	№№ 51, 7, 26, 58, 62, 108 5,
20	4/84	გამანაწილებელი დანადგარების ელექტრომემონტაჟე	№ 148	
21	4/78	ზეინკალ-სანტექნიკოსი, აირშემ-დუღებელი	№ 28	
22	4/86	განათების ქსელის ელექტრომე-მონტაჟე, ძალოვანი ქსელისა და ელექტროდანადგარების ელ-ექტრომემონტაჟე	№№ 28 47, 53, 61, 68, 113	№№ 133, 26, 53 28, 61
23	4/87	საჰაერო ხაზებისა და მაღალი ძაბ-ვის და კონტაქტური ქსელის ელექტრომონტიორი	№ 110	№№ 87
24	4/88	ელექტროზეინკალი (სამშენებლო)	№№ 21	
25	4/89	მღებავი (სამშენებლო)	№№ 62, 7, 11, 21 44, 45, 69, 110, 89, 139,	№№ 62, 87, 78, 105, 108, 142, 110, 143, 135
26	4/90	მღებავი სამშენებლო (რომელსაც შეუძლია მხატვრული გაფორმე-ბა)	№ 11,	№ 11
27	4/91	მღებავი (სამშენებლო), მლესავი	№11, 18, 21, 25, 52, 53, 68,	№№ 29, 48, 39, 78, 87, 105,

1	2	3	4	5
28	4/92	არქიტექტურული დეტალების მოდელიერი	№№ 11,	
29	4/93	არქიტექტურული დეტალების მძერწავი	№№ 11,	
30	4/94	კალატოზი მეგრანიტე	№ 89,	
31	4/95	ხუროـმომპირკეთებელი, მომპირკეთებელი-მემოზაიკე	№№ 89, 45, 11, 22	№№ 87 №№ 142
32	4/97	მეპარკეტე (მხატვრული დამუშავების)	№ 62	№№ 105 142
33	4/99	მლესავი	№№ 17, 18, 21, 44, 7, 62 139	№№ 78, 87, 108 110, 113, 142, 143 152 18, 58,
34	4/98	მლესავი, მლესავ-მეფილე-მომპირკეთებელი		
35	4/100	ხელით შედუღების ელექტროშემდუღებელი	№№ 3, 20, 17, 22, 53, 61, 68, 110, 138 148, 139	№№ 46, 47, 52, 70, 78, 87, 62, 31, 110, 142, 139
36	4/101	ავტომატური მანქანით ელექტროშემდუღებელი		№ 61
37	4/102	ლითონკონსტრუქციების ამწყობი ზეინკალი	№ 61	
38	4/103	საგზაო-სატრანსპორტო მანქანებისა და ტრაქტორების ზეინკალი	№ 70, 17	
39	4/121	ხის დამმუშავებელი წარმოების კონტროლიორი, წუნმდებელი	№ 71	№ 71
40	4/127	მომპირკეთებელი	№ 71	
41	4/129	საბურღი ჩარხის მედაზგე, სარანდავი ჩარხის მედაზგე, კოტამჭრელი		
42	4/130	სახარატო ჩარხის მედაზგე, საღარავი-საკოპირო ჩარხის მედაზგე	№ 71	

1	2	3	4	5
43	4/131	ლურგალი	№№ 11 28, 71,	№№ 87, 105, 142, 152
44	4/147	ლურგალი (ავეჯის მხატვრული დამუშავების)	№ 71,	№№ 11, 80
45	4/168	ცემენტის წისქვილის მემანქანის თანაშემწე		№ 148
46	4/197	მიწის მაყალიბებელი მანქანის მემანქანე		№ 109
		V. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა		
1	5/1	გზებისა და ხელოვნური ნაგებობების მოვლისა და შეკეთების ბრიგადირი (განთავისუფლებული)	№№ 117 126	
2	5/2	სადგურის მორიგე (VI—V კლასის სადგურებში)		№ 31, 92 ფ 109
3	5/4	ელმავლის მემანქანე	№ 20,	№ 31
4	5/5	თბომავლის მემანქანე		№ 31
5	5/13	ვაგონის დამთვალიერებლები	№ 126	
6	5/16	ელმავლის მანქანის თანაშემწე		№№ 31, 126, 109
7	5/17	თბომავლის მემანქანის თანაშემწე		№№ 126, 31
8	5/24	სამგზავრო მატარებლის გამცილებელი		№ 126
9	5/25	ცხოველების ვეტერინარული დამუშავების ოპერატორი	№ 2	
10	5/26	მოძრავი შემადგენლობის შემკეთებელი ზეინკალი		№ 109
11	5/27	მოძრავი შემადგენლობის შემკეთებელი ზეინკალი	№ 126	№ 31
12	5/28	მოძრავი შემადგენლობის შემკეთებელი ზეინკალი (ელმავლის)	№ 126	№ 31
13	5/39	ელექტროდანადგარების შემკეთებელი ზეინკალ-ელექტრიკოსი		№ 32

1	2	3	4	5
14	5/42	ტვირთისა და ბაგაჟის მიმღები		№ 109, 31
15	5/44	კონტაქტური ქსელის ელექტრომონტიორი		№№ 31, 120 87, 109
16	5/45	სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომონტიორი	№ 126	№№ 31, 92 ფ.
17	5/63	I კლასის მეზღვაური (საზღვაო ფლოტი)		№ 1
18	5/65	I კლასის მეზღვაური—II კლასის მემოტორე		№ 1
19	5/70	I კლასის მემოტორე	№ 12	
20	5/71	I კლასის მემოტორე—IIკლასის მეზღვაური		№ 1
21	5/126	ავტომობილის შემკეთებელი ზეინკალი	№№ 6, 7, 12, 18 22, 25, 9, 44, 54 62, 70, 110	№№ 6, 25, 38, 77, 26, 154, 22 54, 135, 45, 74, 76, 87, 110, 142 143, 148, 150,
22	5/128	ტროლეიბუსის მძღოლი (რომელსაც შეუძლია საზეინკლო სამუშაოების შესრულება)		№№ 120, 143
23	5/129	ტრამვაის მძღოლი (რომელსაც შეუძლია საზეინკლო სამუშაოების შესრულება)		№ 120
24	5/132	ელექტროდანადგარების შემკეთებელი ზეინკალ - ელექტრიკოსი (ტროლეიბუსებისა და ტრამვაის ვაგონების)		№ 120
25	5/135	ავტომობილების შემკეთებელი ზეინკალი (ელექტროდანადგარების შეკეთება და მომსახურება)		№№ 31, 133
26	5/137	მეკაბელე-მრჩილავი	№ 1	№№ 33, 65
27	5/139	კავშირგაბმულობის ოპერატორი		№№ 33, 65
28	5/141	რადიოოპერატორი		№ 133

1	2	3	4	5
29	5/143	ტელეგრაფისტი		№№ 65, 58
30	5/144	საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირგამბულობის ტელეგრაფისტი		№№ 65,
31	5/148	სახაზო დანადგარებისა და აბონენტური მოწყობილობების საქალაქო (ადგილობრივ) სატელეფონო კავშირის ელექტრომონტიორი		№ 65
32	5/149	ელექტრომონტიორი სახაზო დანადგარებისა და აბონენტური მოწყობილობების, სოფლის რადიოფიკაციისა და აბონენტური მოწყობილობის სატელეფონო კავშირის ელექტრომონტიორი		№ 65
33	5/151	ქალაქის სატელეფონო კავშირის სტანციონარული მოწყობილობის ელექტრომონტიორი		№№ 33, 65
34	5/152	საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის სტანციონარული მოწყობილობის ელექტრომონტიორი		№ 65
		VI. მსუბუქი და პოლიგრაფიული მრეწველობა		
1	6/2	ხარისხის კონტროლიორი (დამზადებული ქსოვილებისა და ნაწარმის)		№ 36 ფ
2	6/3	მგრეხავი	№ 66	№ 8
3	6/4	მგრეხავი (მხვეველის სამუშაოს შემსრულებელი)	№ 153	№№ 23, 24
4	6/7	ქსოვილების გამომყვანი, მეაპარატე	№ 153, 16	
5	6/17	ოსტატის თანაშემწე	№№ 66, 36, 39	№ 36

1	2	3	4	5
6	6/18	მრთველი	№ 23, 153	№№ 23, 39, 109
	6/19	მეფთილე (მელენტეების სამუშაოთა შემსრულებელი)	№ 23,	
8	6/21	ფეიქარი	№№ 153, 64, 66	№№ 39, 29, 109, 58, 92
9	6/45	მრთველი	№№ 24, 36, 66 23	№№ 24, 36, 66 109
10	6/49	ფეიქარი	№№ 24, 66	№№ 24, 66
11	6/61	ფეიქარი	№№ 36, 37	№№ 36, 37, 92 ფ 36 ფ
12	6/80	ფეიქარი	№№ 64, 23, 24 39	№24, 39
13	6/83	ზედა ტრიკოტაჟისა და ტილოს ნაწარმის მქსოველი	№№ 23, 131	
14	6/84	წინდების ნაკეთობათა მქსოველი		№ 52
15	6/91	მკერავ-მემოტორე	№№ 23, 36, 131 69, 68, 64, 91	№№ 36, 80, 69, 131, 42, 68
16	6/106	ფეხსაცმლის ზედაპირის დამამზადებელი		№ 27, 149
17	6/78	მაქმანიანი ტილოს მქსოველი	№ 64	
18	6/108	ფეხსაცმლის მომჭიმავი, ფეხსაცმლის ქვედა დეტალების მიმწებებელი		№ 27
19	6/109	ნახევარფაბრიკატებისა და მზა პროდუქციის კონტროლიორი		№ 27
20	6/112	გამომჭრელი		№ 27
21	6/125	მქსოველი-მემოტორე (ზედა ტანსაცმლის დამამზადებელი)	№№ 37, 52, 69,	№№ 37, 56, 43, 52, 69, 114

1	2	3	4	5
22	6/129	მქსოველი-მემოტორე (ქალისა და ბავშვის მსუბუქი ტანსაცმლის დამამზადებელი)	№ 12, 131	№№ 131,
23	6/130	მქსოველი-მემოტორე (ქალისა და ბავშვის მსუბუქი ტანსაცმლის და ქალის ტუალეტის საგნების დამამზადებელი)	№ 7	№№ 42, 92, 144
24	6/133	მკერავი-მემოტორე (მამაკაცის ზედა პერანგისა და ქალისა და ბავშვის მსუბუქი ტანსაცმლის დამამზადებელი)		№ 35, 144, 135
25	6/135	მქსოველი-მემოტორე (სპორტული და სამუშაო ტანსაცმლის დამამზადებელი)		№ 39
26	6/137	ფერმწერი	№ 11	
27	6/147	ფეხსაცმლის წარმოების შემკეთებელი ზეინკალი		№ 27
28	6/148	ზეინკალ-შემკეთებელი (საფეიქრო წარმოების)	№ 24	№ 29
29	6/169	ბრტყელი ბეჭდვის მბეჭდავი.	№ 111	№ 111
30	6/153	ლინოტიპისტი	№ 111	№ 111
31	6/157	ხელით ამწყობი	№ 111	№ 111
32	6/166	მაღალი ბეჭდვის მბეჭდავი	№ 111	№ 111
33	6/188	მკინძავი	№ 111	№ 111
		VII. ხორცის, რძისა და კვების მრეწველობა; ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება		
1	7/3	ხორცის მრეწველობის ზეინკალ-შემკეთებელი	№ 138	
2	7/9	მანქანებისა და დანადგარების გამმართველი	№ 75	
3	7/19	ხორცის შემბოლავი	№ 138	№ 41
4	7/20	ხორცის დამმუშავებელი.	№ 138	
5	7/25	ძეხვეულის ნაკეთის შემწველი, შემბოლავი	№ 138	

1	2	3	4	5
6	7/11	საქონლის დამკვლელი, ხორცის შემბოლავი	№ 138	
7	7/51	ყველის მკეთებელი ოსტატი	№ 138	№ 41
8	7/52	სტერილიზაციის მეაპარატე, მხარშავი		№ 53, 92
9	7/63	მეკონდიტრე	№№ 7, 75	
10	7/71	მაკარონის ნაკეთის ნახევარფაბრიკატების მწნეხავი, გრძელმილიანი მაკარონის მშრობელი		№ 75
11	7/85	ცხიმ—კარაქის რაფინაციის მეაპარატე; დეზადორაციის მეაპარატე		№ 41
12	7/98	კოსმეტიკური მასის მხარშავი, კოსმეტიკური საშუალებების დამამზადებელი	№ 75	№ 66
13	7/62	კარამელის მომხარშველები, რომელსაც შეუძლიათ შემხვევ მანქანაზე სამუშაოს შესრულება	№ 75	
14	7/126	მაცივრული დანადგარების შემკეთებელი ზეინკალი	№№ 80, 138, 75	№№ 90, 149, 151
15	7/129	მიმტანი		№ 90
16	7/132	მზარეული	№№ 75, 86	№№ 76, 90
17	7/122	არასასურსათო საქონლის გამყიდველი	№№ 90,	
18	7/123	სასურსათო საქონლის გამყიდველი	№ 86, 75	№№ 90, 151 86, 75, 135, 76

1	2	3	4	5
		VIII. კულტურულ — საყოფაცხოვრებო მომსახურება მოსახლეობაში, საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობა		
	8/1	რადიოტელევიზიის აპარატურის შემკეთებელი რადიომექანიკოსი	№№ 67, 80	№№ 33, 74, 76, 133, 149
2	8/3	რადიოტელევიზიის აპარატურის შემკეთებელი რადიომექანიკოსი, ავტომძღოლი		№ 74
3	8/10	ელექტროდანადგარების შემკეთებელი ზეინკალ-ელექტრიკოსი (საყოფაცხოვრებო მანქანებისა და ხელსაწყოების)	№№ 29, 67, 86,	№№ 74, 80
	8/12	ელექტროდანადგარების შემკეთებელი ზ. ინკალ-ელექტრიკოსი (საყოფაც ვრებო მანქანებისა და ხელსაწ. ოების). ავტომძღოლება	№ 130	№ 74
5	8/23	მკერავი (მამაკაცის ზედა ტანსაცმლის)	№ 67, 80, 107	№ 76, 74
	8/24	მკერავი (ქალის ზედა ტანსაცმლის)	№№ 29, 80, 107	
	8/25	მკერავი (ქალის მსუბუქი ტანსაცმლის)	№№ 67, 131	№№ 74, 76, 80, 29
8	8/27	მკერავი (ქალის მსუბუქი ტანსაცმლის და მამაკაცის პერანგის)	№№ 67, 73	
9	8/26	მკერავი (მამაკაცის, ქალის და ბავშვის ზედა ტანსაცმლის)	№ 29	№ 74, 76
10	8/28	მკერავი (რომელსაც შეუძლია ქალის მსუბუქი ზედა ტანსაცმლის შეკეთება და გამოჭრა)	№№ 86, 80, 131	№№ 29, 86, 149
11	8/29	მკერავი (რომელსაც შეუძლია მამაკაცის ქალისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის გამოჭრა)	№№ 29, 80, 86, 107	№№ 74,

1	2	3	4	5
12	8/32	ცხიმგამცლელი მეაპარატე, რომელსაც შეუძლია შეასრულოს ამოღების სამუშაოების შესრულება	№ 86	№ 74
13	8/42	პარიკმახერი ქალის, პარიკმახერი კაცის	№ 86	№№ 67, 149
14	8/56	ხალიჩის მქსოველი (რთული ასორტიმენტის ნაწარმი)	№ 11	
15	8/44	შეკვეთების მიმღები		№ 80
16	8/50	მდივან-მემანქანე		№ 34
17	8/58	მქსოველი		№ 58
18	8/60	მევიტრაჟე		№ 11
19	8/63	მხატვრული და საიუველირო ნაწარმის მთეგავი (ნაკეთის რთული ასორტიმენტის)	№ 11	
20	8/65	ხეზე ამომჭრელი, რომელსაც შეუძლია ინკრუსტატორის სამუშაოს შესრულება	№№ 71 117	№ 11
21	8/67	ქვის მთლელი	№ 68	№ 11
		IX. სოფლის მეურნეობა		
1	9/3	მეხილეობა-მებოსტნეობის ოსტატი	№№ 10 40, 114	№№ 50, 118, 121, 115, 155, 106
2	9/4	მებაღეობის ოსტატი	№№ 130 88, 118	№ 88, 106
3	9/5	მევენახე-ოსტატი	№№ 130	№ 83
4	9/6	ოსტატი-მეყვავილე - დეკორატორი	№ 5, 102	№ 50
5	9/8	მეთამბაქოე-ოსტატი		№ 88
6	9/9	მეჩაიე-ოსტატი	№ 103	№№ 77, 96
7	9/12	ტრაქტორისტ - მემანქანე (რომელსაც შეუძლია ფართო პრო-	№№ 2, 9, 10,	№№ 96, 128

1	2	3	4	5
		ფილის ავტომობილის მძღოლისა და ზეინკალ-შემკეთებლის სამუშაოს შესრულება)	18, 20, 14, 15, 30, 40, 72, 73, 80, 83, 84, 87, 53, 91, 101, 102, 103, 114, 127, 115, 116, 117, 118, 128, 130	
8	9/13	ტრაქტორისტ-მემანქანე	№№ 13, 130, 153, 88	№№ 50, 30, 2, 53, 69, 13, 83, 14, 40, 77, 115, 91, 84, 93, 96, 87, 106, 114, 88, 85, 121, 122, 127, 130, 128, 82, 98, 134, 141, 155, 156
9	9/14	ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ანალიზის ლაბორანტი	№№ 118 115, 102 2, 9	
10	9/15	მეცხოველეობის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ოსტატი	№№ 10, 14, 141	№№ 82, 96, 76, 88, 91, 98, 134
11	9/18	მეცხოველეობის ოსტატი-მეფრინველე	№№ 40, 83, 103	№ 72, 82
12	9/24	მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორი, რომელსაც შეუძლია ელექტროდანადგარების შემკეთებელი ელექტრომონტიორის სამუშაოების შესრულება	№№ 40, 10, 13,9, 14, 15, 30, 72, 84, 88, 91, 39, 141,	№№ 106, 134, 88, 114, 77, 122, 93, 96, 130, 50, 122, 106, 121, 82, 85,

1	2	3	4	5
			106,114, 115,116, 117, 130	
13	9/25	ცხოველების სავეტერინარო მომსახურებისა და დეზინფექციის ოპერატორი	№№ 2, 83, 84, 116,117, 101,128,	№№ 50, 82, 85, 98, 122, 134, 91, 141
14	9/27	მეფრინველეობის ფაბრიკებისა და ფერმების ოპერატორი	№№ 9, 114	№№ 82
15	9/28	ინკუბატორის ოპერატორი		№ 82
16	9/33	მეფუტკრე		№ 93
17	9/23	სატუმბი დანადგარის მემანქანე		№ 122
18	9/53	ზეინკალ-შემკეთებელი (რომელსაც შეუძლია ავტომობილებისა და ტრაქტორების ელექტრომოწყობილობათა შეკეთება)	№ 103	№ 96
19	9/60	სოფლის ელექტროფიკაციისა და კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორი	№№ 9, 15, 91, 103, 130 40, 128,	№№ 3, 40, 96, 122, 93, 82, 96
2	9/49	ზეინკალ - შემკეთებელი, რომელსაც შეუძლია ტრაქტორების, ავტომობილებისა და სოფლის მეურნეობის მანქანების შეკეთება	№№ 53, 9, 2, 40 72, 83, 21, 87, 103, 89, 88, 30, 130, 83, 84, 15, 128, 89, 91, 101, 102 103, 115 116, 118 127	№№ 96, 93, 57 77, 85, 122, 134 136
21	9/61	ავტომობილის მძღოლი	№№ 15, 106, 91	№№ 120, 2, 13 14, 50, 72, 73,

1	2	3	4	5
			101, 114 115, 128 102 102	85, 40, 106, 119 83, 121, 127, 96 115, 98
22	9/62	ავტომობილის მძღოლი, რომელსაც შეუძლია ავტომობილის ზეინკალ-შემკეთებლის სამუშაოების შესრულება	№ 91, 2 73, 103 15, 127, 128	№№ 72, 96, 120, 73
23	9/67	ერთციცხვიანი ექსკავატორის მემანქანე, რომელსაც შეუძლია მრავალციცხვიან ექსკავატორზე მუშაობა	№№ 9, 10, 13, 30, 84, 89, 94, 102, 114 128, 127	№№ 30, 83, 88, 40, 119, 50, 72, 89, 96, 87
24	9/72	სატუმბი დანადგარების მემანქანე, რომელსაც შეუძლია ელექტრომოწყობილობის მომსახურე ელექტრომონტიორის სამუშაოების შესრულება		№№ 13, 98, 119 122
25	9/73	სადრენაჟო მანქანების მემანქანე, რომელსაც შეუძლია მუხლუხა ამწეზე მუშაობა	№№ 102, 103	№ 119
26	9/74	სოფლის მშენებლობის ოსტატი	№№ 10, 30, 15, 40, 114, 101 84, 116, 88, 89, 91, 102, 106, 117, 115, 141	№№ 13, 72, 76, 122, 93, 130, 134 98
27	9/75	ბულდოზერის მემანქანე, მებულდოზერე, რომელსაც შეუძლია სკრეპერისა და გრეიდერის მემანქანის სამუშაოს შესრულება	№№ 70, 30, 89, 102	№№ 30, 68, 50, 119, 127, 155
28	9/77	მელიორატორულ-სამუშაოთა მექანიზატორი	№№ 30, 103, 102	№№ 84, 119, 121, 134

1	2	3	4	5
29	9/90	პირველადი ღვინისა და წვენის წარმოების ოსტატი	№ 2, 127, 40	
30	9/91	კარტოფილისა და ბოსტნეულის გადამმუშავებელი ოსტატი	№ 114	№ 98, 151
31	9/92	ხილ-კენკროვანი ნაყოფის გადამ-მუშავებელი ოსტატი	№ 1, 118	151, 106

დამტკიცებულია

სსრკ პროფესიულ-ტექნიკური განათ-
ლების სახელმწიფო კომიტეტის 1980
წლის 28 იანვრის № 1 ბრძანებით

სსრკ საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიღების წესები

მიღების პირობები

1. საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, რომლებიც საშუალო განათლების კვალიფიციურ მუშებს ამზადებენ, მიიღებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რვაკლასდამთავრებული ჭაბუკები და ქალიშვილები.

მავნე, მძიმე და სახიფათო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული პროფესიების შესასწავლად ახალგაზრდების მიღებისას მხედველობაში მიიღება შრომის კანონმდებლობით დადგენილი სქესობრივი, ასაკობრივი და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შეზღუდვები.

მიღების წესები

2. განცხადება საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში მიღების შესახებ იწერება სასწავლებლის დირექტორის სახელზე, სადაც მითითებული უნდა იყოს არჩეული პროფესია.

განცხადებას თან ერთვის:

რვა კლასის დამთავრების მოწმობა (დედანი);

ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286);

ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;

ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3/4 სმ).

სასწავლებელში შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს დაბადების მოწმობა ან პასპორტი, რის შესახებაც შემსვლელის პირად საქმეში კეთდება სათანადო აღნიშვნა.

3. საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში შემსვლელები გადიან სავალდებულო სამედიცინო შემოწმებას იმის დასადგენად, თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობითა და ფიზიკური განვითარებით შეეფერებიან თუ არა მათ მიერ არჩეულ პროფესიას.

I ჩარიცხვის წესი

მიმღები კომისია თითოეულ შემსვლელთან ატარებს გასაუბრებას პროფესიის არჩევის, სასწავლებელში სწავლისა და წარმოებაში მუშაობის პირობების შესახებ.

4. სასწავლებელში ახალგაზრდების მიღება ხორციელდება საკონკურსო შერჩევით რვა კლასის დამთავრების მოწმობაში აღნიშნული ნიშნების მიხედვით, ხოლო კონკურსის დროს გასაუბრებით.

მოსწავლეთა მიღებისას იმ პროფესიებზე, რომლებიც შემსვლელთაგან ამა თუ იმ საგნებში უფრო ღრმა ცოდნას მოითხოვს, პროფესიულ- ტექნიკური განათლების ადგილობრივი ორგანოების შეხედულების მიხედვით ტარდება შესაბამისი გასაუბრება ან გამოცდები.

ასე, მაგალითად, მოსწავლეების მიღებისას კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად სამხატვრო განხრის პროფესიებზე გამოცდა ტარდება ხატვაში, პოლიგრაფიული წარმოებისათვის ამწყობთა მოსამზადებლად — მშობლიურ ან რუსულ ენაში და ა. შ.

5. სასწავლებელში ჩარიცხვისას უპირატესი უფლებით სარგებლობენ ობლები, საბავშვო სახლის აღზრდილები, I და II ჯგუფის ინვალიდთა შვილები და ის ახალგაზრდები, რომლებსაც სასწავლებლად აგზავნის საწარმო, მშენებლობა, საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა; სსრკ შეიარაღებული ძალებიდან თადარიგში დემობილიზებულები; საბაზო წარმოების მუშაკების შვილები.

გარდა ამისა, სამთო და მეტალურგთა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ჩარიცხვისას უპირატესი უფლებით სარგებლობენ სამთოელთა და მეტალურგთა შვილები.

6. საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სასწავლო წელი იწყება 1 სექტემბერს.

ის პირები, რომლებიც ჩარიცხული არიან სასწავლებელში და სწავლის დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში მეცადინეობას არ შეუდგებიან არასაპატიო მიზეზით, გაირიცხებიან სასწავლებლიდან.

7. იმ პირებს, რომელთაც უარი ეთქვათ სასწავლებლებში მიღებაზე, საბუთები უნდა დაუბრუნდეს მიმღები კომისიის გადაწყვეტილებიდან არაუგვიანეს ხუთი დღის განმავლობაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სასწავლებლებში ახალგაზრდების მიღების საკითხთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს პროფესიულ-ტექნიკური განათლების საოლქო (საქალაქო), სამხარეო ან რესპუბლიკური ორგანოები 2 კვირის განმავლობაში.

სწავლების პირობები

8. სასწავლებლებში სწავლება უფასოა, გარდა ამისა, ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით, ტანსაცმლით და სპეცტანსაცმლით, ხოლო სოფლის პროფტექსასწავლებლებში— კვებით, ტანსაცმლით, სპეცტანსაცმლითა და სტიპენდიით.

სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსული მოსწავლეები საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

9. საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლის პერიოდში მოსწავლეებს საწარმოო სწავლების პროცესში შესრულებული სამუშაოებისათვის ეძლევათ ფულადი ანაზღაურება დადგენილი წესით.

დამტკიცებულია

სსრკ პროფესიულ-ტექნიკური განათ-
ლების სახელმწიფო კომიტეტის 1980
წლის 28 იანვრის № 14 ბრძანებით

სსრკ ტექნიკურ სასწავლებლებში მიღების წესები

მიღების პირობები

1. ტექნიკურ სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ორივე სქესის ახალგაზრდები.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდებისათვის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში პროფესიების შესასწავლად შეიძლება შეიქმნას ცალკეული ჯგუფები, სადაც სწავლება იწარმოებს ტექნიკური სასწავლებლებისათვის გათვალისწინებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მიხედვით.

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებმაც სკოლა სოფელ ადგილებში დაამთავრეს და აქვთ სკოლაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის კურსის წარმატებით შესწავლის მოწმობა, სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ცალკეულ ჯგუფებსა და მათ ფილიალებში ტრაქტორისტ-მემანქანის პროფესიის შესასწავლად მიიღებიან სწავლების შემცირებული ვადებით.

მავნე, მძიმე და სახიფათო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული პროფესიების შესასწავლად ახალგაზრდების მიღებისას მხედველობაში მიიღება შრომის კანონმდებლობით დადგენილი სქესობრივი, ასაკობრივი და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შეზღუდვები.

მიღების წესები

2. ტექნიკურ სასწავლებლებში ან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ცალკეულ ჯგუფებში მიღების შესახებ განცხადება იწერება სასწავლებლის დირექტორის სახელზე, სადაც მითითებული უნდა იყოს არჩეული პროფესია.

განცხადებას თან ერთვის:

საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი);

ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286);

ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;

ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3X4 სმ);

მიმართვა წარმოებიდან, საბჭოთა მეურნეობიდან, კოლმეურნეობიდან ან სხვა ორგანიზაციიდან (იმ პირთათვის, რომლებიც მათ მიერ არიან მივლინებული სასწავლებლად).

შემსვლელმა უნდა წარადგინოს პასპორტი, მიწერის მოწმობა (წვევანდელი ასაკის პირებმა) ან სამხედრო ბილეთი, რის შესახებაც შემსვლელის პირად საქმეში კეთდება სათანადო აღნიშვნა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ცალკეულ ჯგუფებში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მიღება წარმოებს ამ სასწავლებლის მიმღები კომისიის მიერ.

ჩარიცხვის წესები

3. სასწავლებელში მიღების შესახებ განცხადებებს ყველა თანდართულ საბუთთან და სამედიცინო დასკვნასთან ერთად იხილავს სასწავლებლის მიმღები კომისია.

მიმღები კომისია თითოეულ შემსვლელთან ატარებს გასაუბრებას პროფესიის არჩევის, სასწავლებელში სწავლისა და წარმოებაში მუშაობის პირობების შესახებ.

4. სასწავლებელში ახალგაზრდების მიღება ხორციელდება საკონკურსო შერჩევით საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატში აღნიშნული ნიშნების მიხედვით.

მოსწავლეთა მიღებისას იმ პროფესიებზე, რომლებიც შემსვლელთაგან ამა თუ იმ საგნებში უფრო ღრმა ცოდნას მოითხოვს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების ადგილობრივი ორგანოების შეხედულების მიხედვით ტარდება შესაბამისი გასაუბრება ან გამოცდები. ასე, მაგალითად, მოსწავლეების მიღებისას კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად სამხატვრო განხრის პროფესიებზე გამოცდა ტარდება ხატვაში, პოლიგრაფიული წარმოებისათვის ამწყობთა მოსამზადებლად — მშობლიურ ან რუსულ ენაში და ა. შ.

5. ტექნიკურ სასწავლებელში ან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ცალკეულ ჯგუფებში ჩარიცხვისას უპირატესი უფლებით სარგებლობენ ობლები, საბავშვო სახლის აღზრდილები, I და

II ჯგუფის ინვალიდების შვილები; საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულები და საწარმოების, მშენებლობის, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიერ სასწავლებლად მიგზავნილი ახალგაზრდები; საბაზო წარმოების მუშაკთა შვილები.

6. მიმღები კომისიის გადაწყვეტილება სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ ფორმდება მიმღები კომისიის ოქმით და შემდეგ მტკიცდება სასწავლებლის დირექტორის ბრძანებით.

სასწავლებელში ჩარიცხულთა სია საერთო ცნობისათვის უნდა გამოიკრას სწავლის დაწყებამდე 7 დღით ადრე. იმ პირებს, რომლებიც სასწავლებლიდან მოშორებით ცხოვრობენ, სასწავლო წლის დაწყებამდე სასწავლებლის დირექტორის ხელმოწერით ეგზავნებათ წერილობითი შეტყობინება სასწავლებელში მიღების ან უარის შესახებ.

7. ის პირები, რომლებიც ჩარიცხულნი არიან ტექნიკურ სასწავლებელში და სწავლის დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში მეცადინეობას არ შეუდგებიან არასაპატიო მიზეზით, გაირიცხებიან სასწავლებლიდან.

8. იმ პირებს, რომლებსაც უარი ეთქვათ სასწავლებელში მიღებაზე საბუთები უნდა დაუბრუნდეს მიმღები კომისიის გადაწყვეტილებიდან არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სასწავლებელში ახალგაზრდების მიღების საკითხებთან დაკავშირებულ საჩივრებს იხილავს პროფესიულ-ტექნიკური განათლების საოლქო (საქალაქო) სამხარეო ან რესპუბლიკური ორგანოები 2 კვირის განმავლობაში.

სწავლების პირობები

9. ტექნიკურ სასწავლებელში სწავლა უფასოა.

ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებს, რომლებიც ასწრებენ ყველა საგანში, ეძლევათ სტიპენდია თვეში 30-დან 37 მანეთამდე, მრეწველობის იმ დარგების შესაბამისად, რომლის ბაზაზეც იმყოფება სასწავლებელი.

ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებს, რომლებიც დამტკიცებული ჩამონათვლის შესაბამის რთულ პროფესიას ეუფლებიან, საწარმოებისა და ორგანიზაციების კადრების მომზადებისათვის გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე სტიპენდიის ზევით ეძლევათ დამატებითი ანაზღაურება პირველი თანრიგის მუშის სატარიფო განაკვეთის (მინიმალური განაკვეთის) დონემდე.


32

იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ყველა საგანში აქვთ ფრიადი და კარგი შეფასება და, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, ეძლევათ 15—20 პროცენტით გაზრდილი სტიპენდია.

ტექნიკურ სასწავლებელში მიღებული საბავშვო სახლის აღზრდილები, ობლები, დიდი სამამულო ომის I და II ჯგუფის ინვალიდების შვილები დადგენილი ნორმების მიხედვით უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო კვებით, ტანსაცმლით, სპეცტანსაცმლითა და დადგენილი ოდენობის სტიპენდიით.

სოფელ ადგილებში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებისაგან დაკომპლექტებული სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ცალკეული ჯგუფების მოსწავლეები, რომლებიც საშუალო სკოლაში სოფლის მეურნეობის პროფესიას სწავლობენ უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით, ტანსაცმლით, სპეცტანსაცმლითა და სტიპენდიით სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებისათვის დადგენილი ნორმების მიხედვით. სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების განყოფილებების (ჯგუფების) მოსწავლეები, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და გავლილი აქვთ ავტოსაქმე ან ტრაქტორებზე, კომბაინებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობის კურსები, სასწავლებელში მიიღებიან სწავლების შემცირებული ვადით და სწავლების პერიოდში მიეცემათ სტიპენდია II თანრიგის ტრაქტორისტ-მემანქანის დროითი სატარიფო განაკვეთის ოდენობით (უფასო კვების, სპეცტანსაცმლისა და სტიპენდიის ნაცვლად, რომელიც ეძლევათ საერთო საფუძველზე).

სხვა რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩამოსული მოსწავლეები საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

10. სსრკ შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებული 25 წლის ასაკამდე ახალგაზრდები სასწავლებლებში მიიღებიან შემცირებული ვადით და სწავლის პერიოდში მათ მიეცემათ სტიპენდია სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგის პირველი თანრიგის მუშისათვის დადგენილი სატარიფო განაკვეთის (მინიმალური განაკვეთის) ოდენობით მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფის (სტიპენდიის უფასო კვებისა და ტანსაცმლის) ნაცვლად; იმ სასწავლებლებში, სადაც სოფლის მეურნეობის მექანიზატორებს ამზადებენ, სტიპენდია

ეძლევათ II თანრიგის ტრაქტორისტ-მემანქანის სატარიფო განაკვეთის ოდენობით (უფასო კვების, სპეცტანსაცმლისა და სტიპენდიის ნაცვლად, რომელიც ეძლევათ საერთო საფუძველზე).

11. გარდა ამისა, მოსწავლეებს მიეცემათ საწარმოო სწავლების პროცესში გამომუშავებული ფულადი ანაზღაურება დადგენილი წესით.

12. ტექნიკურ სასწავლებელში სწავლის დრო ითვლება მუშაობის საერთო უწყვეტ სტაჟად.

დამტკიცებულია

სსრკ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის 1980 წლის 28 იანვრის № 1 ბრძანებით

სსრკ ქალაქისა და სოფლის დღისა და საღამოს (ცვლიან) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიღების ზოგიერთი წესი

1. ქალაქისა და სოფლის დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიიღებიან ჭაბუკები და ქალიშვილები, რომელთაც აქვთ არანაკლები 8 კლასის განათლება.

მავნე, მძიმე და სახიფათო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული პროფესიების შესასწავლად ახალგაზრდების მიღებისას გათვალისწინებულია შრომის კანონმდებლობით დადგენილი სქესობრივი, ასაკობრივი და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შეზღუდვები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ის პირები, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლის ცხრა კლასი, ჩაირიცხებიან ჯგუფებში, რომლებიც რვაკლასდამთავრებული მოსწავლეებით არის დაკომპლექტებული.

საღამოს (ცვლიან) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში და დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან არსებულ საღამოს (ცვლიან) განყოფილებაზე, აგრეთვე სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ფილიალებში მიიღებიან ის მუშები, რომლებიც წარმოების, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ არიან მივლინებულნი.

საღამოს (ცვლიან) სწავლებაზე შემსვლელ პირებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი განათლება, რომელიც აუცილებელია არჩეული პროფესიის წარმატებით ასათვისებლად ან კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

მიღების წესი

2. დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში მიღების შესახებ განცხადება იწერება სასწავლებლის დირექტორის სახელზე შემსვლელის მიერ არჩეული პროფესიის ჩვენებით.

დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში შემსვლელებმა განცხადებას უნდა დაურთონ:

რვაწლიანი სკოლის დამთავრების მოწმობა ან ცნობა საშუალო სკოლის მე-10 კლასში გადაყვანის შესახებ:

ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286);

ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;

ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3-4 სმ);

საწარმოს, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის ან სხვა ორგანიზაციის მიმართვა (მათ მიერ მივლინებულ პირთათვის).

სასწავლებელში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ დაბადების მოწმობა ან პასპორტი, მიწერის მოწმობა (წვევამდელი ასაკის პირებმა) ან სამხედრო ბილეთი (თადარიგის სამხედროვალდებულმა), რის შესახებაც შემსვლელის პირად საქმეში კეთდება სათანადო აღნიშვნა.

იმ პირებმა, რომლებიც შედიან საღამოს (ცვლიან)პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ან დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან არსებულ საღამოს (ცვლიან) განყოფილებებზე განცხადებას უნდა დაურთონ:

საწარმოს, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობების ან სხვა ორგანიზაციის მიმართვა;

საბუთი განათლების შესახებ;

ცნობა ჯანმრთელობის შესახებ;

სასწავლებელში მისვლისას შემსვლელმა უნდა წარადგინოს პასპორტი, რის შესახებაც შემსვლელის პირად საქმეში კეთდება სათანადო აღნიშვნა.

3. დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში შემსვლელები გადიან სავალდებულო სამედიცინო შემოწმებას იმის დასადგენად, თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობითა და ფიზიკური განვითარებით შეეფერებიან თუ არა მათ მიერ არჩეულ პროფესიას.

4. სასწავლებელში ახალგაზრდების მიღება წარმოებს საკონკურსო შერჩევით განათლების მოწმობაში ნაჩვენები ნიშნების მიხედვით.

მოსწავლეთა მიღებისას იმ პროფესიებზე, რომლებიც შემსვლელთაგან ამა თუ იმ საგანში უფრო ღრმა ცოდნას მოითხოვს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების ადგილობრივი ორგანოების შეხედულების მიხედვით ტარდება გასაუბრება ან გამოცდა.

ასე, მაგალითად, კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად მოსწავლეთა მიღებისას სამხატვრო განხრის პროფესიებზე გამოცდა ტარდება ხატვაში, პოლიგრაფიული წარმოებისათვის ამწყობთა მოსამზადებლად — მშობლიურ ან რუსულ ენაში.

დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებათ ობლებს, საბავშვო სახლების აღზრდილებს, I და II ჯგუფის ინვალიდების შვილებს; სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დემობილიზებულებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების მიერ სასწავლებლად მივლინებულ ახალგაზრდებს, საბაზო წარმოების მუშაკთა შვილებს.

5. მიმღები კომისიის გადაწყვეტილება სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ ფორმდება მიმღები კომისიის თქმით და მტკიცდება სასწავლებლის დირექტორის ბრძანებით.

სასწავლებელში ჩარიცხულთა სია საერთო ცნობისათვის უნდა გამოიკრას სწავლის დაწყებამდე 7 დღით ადრე. იმ პირებს, რომლებიც შორეულ რაიონებში ცხოვრობენ, სასწავლო წლის დაწყებამდე სასწავლებლის დირექტორის ხელმოწერით ეგზავნებათ წერილობითი შეტყობინება სასწავლებელში ჩარიცხვის ან უარის შესახებ.

6. ის პირები, რომლებიც ჩარიცხული არიან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში და სწავლის დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში არ შეუდგებიან მეცადინეობას არასაპატიო მიზეზით, გაირიცხებიან სასწავლებლიდან.

7. იმ პირებს, რომლებსაც შეტანილი აქვთ განცხადება მიღების შესახებ, მაგრამ უარი ეთქვათ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ჩარიცხვაზე, საბუთები უნდა დაუბრუნდეთ მიმღები კომისიის გადაწყვეტილებიდან არაუგვიანეს ხუთი დღის განმავლობაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სასწავლებლებში ახალგაზრდების მიღების საკითხებთან დაკავშირებულ საჩივარს იხილავს პროფესიულ-ტექნიკური განათლების საოლქო (საქალაქო), სამხარეო ან რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტი ორი კვირის განმავლობაში.

სწავლების პირობები

8. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლება უფასოა. გარდა ამისა, ქალაქის დღის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით, ტანსაცმლი-

თა და სპეცტანსაცმლით, ხოლო სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები — კვებით, ტანსაცმლით, სპეცტანსაცმლითა და სტიპენდიით.

სხვა რაიონებიდან ჩამოსული მოსწავლეები, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

9. სსრკ შეიარაღებული ძალებიდან თადარიგში დემობილიზებულნი სასწავლებელში მიიღებიან სწავლების შემცირებული ვადებით და სწავლის პერიოდში ეძლევათ სტიპენდია:

ქალაქის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში — I თანრიგის მუშის სატარიფო განაკვეთის (მინიმალური განაკვეთის) ოდენობით, რომელიც დადგენილია სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგებისათვის, მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფის მოქმედი პირობების (სტიპენდიის, უფასო კვებისა და ტანსაცმლის) ნაცვლად;

სოფლის პროფტექსასწავლებლებში, რომლებიც სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორებს ამზადებს — II თანრიგის ტრაქტორისტ-მემანქანის დროებითი სატარიფო განაკვეთის ოდენობით (უფასო კვების სპეცტანსაცმლისა და სტიპენდიის ნაცვლად, რომელიც ეძლევათ საერთო საფუძველზე).

სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების განყოფილებების ჯგუფების მოსწავლეები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა და გავლილი აქვთ ავტოსაქმე ან ტრაქტორებზე, კომბაინებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობის კურსი, სასწავლებელში მიიღებიან სწავლების შემცირებული ვადებით და სწავლების პერიოდში მიეცემათ სტიპენდია II თანრიგის ტრაქტორისტ-მემანქანის დროითი სატარიფო განაკვეთის ოდენობით (უფასო კვების, სპეცტანსაცმლის, სტიპენდიის ნაცვლად, რომელიც ეძლევათ საერთო საფუძველზე).

10. დღის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს სწავლების პერიოდში დადგენილი წესით ეძლევათ ფულადი ანაზღაურება იმ სამუშაოებისათვის, რომლებსაც შეასრულებენ საწარმოო სწავლების პროცესში.

11. ის პირები, რომლებიც წარმატებით სწავლობენ წარმოებიდან მოუწყვეტლივ საღამოს (ცვლიან) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან არსებულ საღამოს (ცვლიან) განყოფილებაზე, გამოცდებისათვის მოსამზადებლად და ჩასაბარებლად სამუშაოდან თავისუფლდებიან

წელიწადში 30 სამუშაო დღით ძირითად სამუშაო ადგილზე ხელფასის 50%-ის შენარჩუნებით.

12. დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში სწავლის დრო ჩაითვლება საერთო და უწყვეტ შრომით სტაჟად.

ამონაკრები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 11 აპრილის № 296 დადგენილებიდან

13. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო წელი იწყება 1 სექტემბერს (ტექნიკურ სასწავლებლებში არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა):

იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც ერთ წელიწადს და მეტს სწავლობენ დადგენილია არდადეგები, რომელთა ვადები და ხანგრძლივობა განისაზღვრება სასწავლო გეგმით.

საღამოს (ცვლის) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებისათვის შეიძლება დადგენილი იყოს სასწავლო რეჟიმი, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების საწარმოთა მუშაობის ხასიათის გათვალისწინებით.

14. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეები პროფესიის მიხედვით ერთიანდებიან სასწავლო ჯგუფებად 25 — 30 კაცის რაოდენობით.

საწარმოო სწავლება იმ პროფესიაში, რომელიც დაკავშირებულია რთული მოწყობილობის მომსახურებასთან, საშიში ან განსაკუთრებით რთული სამუშაოების შესრულებასთან, ხორციელდება 12 — 15 კაცისაგან შემდგარ ჯგუფებში. ამ პროფესიათა და სამუშაოების ჩამონათვალს პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან, სსრკ შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან და სსრკ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, განსაზღვრავს სსრკ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი.

საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და ტექნიკურ სასწავლებლებში უცხო ენების გაკვეთილებზე, აგრეთვე რუსული ენის გაკვეთილებზე სოფლის საშუალო პროფესიულ სასწავ-

ლებლებში, სადაც სწავლება არარუსულ ენაზე მიმდინარეობს, ჯგუფები რომლებშიც 25-ზე მეტი მოსწავლეა, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად.

15. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის ძირითად ფორმას წარმოადგენს გაკვეთილი.

გაკვეთილის ხანგრძლივობა თეორიული სწავლების საგნებში დადგენილია 45 წუთი, გაკვეთილებს შორის შესვენება არანაკლებ 0,10 წუთი, სადილისათვის შესვენება არანაკლებ ერთი საათი.

სასწავლო სახელოსნოებში სწავლების პირველ წელს მეცადინეობა ტარდება 10 წუთიანი შესვენებით ყოველი 50 წუთის შემდეგ. სწავლების მეორე და მომდევნო წლებში კი ყოველი 1 საათისა და 50 წუთის შემდეგ.

16. მოსწავლეთა ცოდნა ფასდება ხუთბალიანი სისტემით: 5 (ფრიადი), 4 (კარგი), 3 (დამაკმაყოფილებელი), 2 (ცუდი) და 1 (ძლიერ ცუდი), ნიშანი 3 წარმოადგენს ჩათვლას. მოსწავლეთა ყოფაქცევა შეფასდება, როგორც სამაგალითო, დამაკმაყოფილებელი და არადამაკმაყოფილებელი.

17. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეები, რომლებმაც დაამთავრეს სწავლების სრული კურსი, ამასთანავე ყველა საგანში, საწარმოო სწავლებასა და ყოფაქცევაში აქვთ დადებითი შეფასება, დაიშვებიან გამოსაშვები საკვალიფიკაციო გამოცდების ჩასაბარებლად.

გამოსაშვები საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესი განისაზღვრება სსრკ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით.

18. საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებს, რომლებმაც ჩააბარეს გამოსაშვები საკვალიფიკაციო გამოცდები, ეძლევათ საშუალო განათლებისა და პროფესიაში სათანადო კვალიფიკაციის (თანრიგის, კლასის, კატეგორიის) მინიჭების შესახებ დიპლომი, ხოლო ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს — დიპლომი სათანადო კვალიფიკაციის (თანრიგის, კლასის, კატეგორიის) მინიჭების შესახებ.

სხვა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების მოს-

წავლეებს, რომლებმაც ჩააბარეს გამოსაშვები საკვალიფიკაციო გამოცდები, ეძლევათ ატესტატი პროფესიაში სათანადო კვალიფიკაციის (თანრიგის, კლასის, კატეგორიის) მინიჭების შესახებ.

საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებისა და ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს, რომლებსაც საწარმოო პრაქტიკაში და სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სხვა საგნების 75%-ში აქვს საბოლოო შეფასება „5“, ხოლო დანარჩენ საგნებში კი -„4“ და სანიმუშო ყოფაქცევა, გამოსაშვები საკვალიფიკაციო გამოცდები ჩააბარეს „5“-ზე და თავი გამოიჩინეს საზოგადოებრივ მუშაობაში, ეძლევათ წარჩინების დიპლომი, ხოლო სხვა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეებს, რომლებსაც ასეთივე საბოლოო მაჩვენებლები აქვთ — წარჩინების ატესტატი.

მოსწავლეებს დიპლომები და ატესტატები გადაეცემათ საზეიმო ვითარებაში.

19. საწარმოო თანრიგები, კლასები, კატეგორიები, რომელიც მინიჭებული აქვთ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს სავალდებულოა ყველა წარმოებისათვის, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის.

20. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებს კავშირი აქვთ კურსდამთავრებულებთან, სწავლობენ მათ საწარმოო საქმიანობას და მისი ანალიზის საფუძველზე სრულყოფენ მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის პროცესს.

21. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებები დახმარებას უწევენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს მოსწავლეთა შრომით აღზრდასა და მუშური პროფესიის ორიენტაციაში.

V განყოფილება

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულების მოსწავლეები

30. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიიღებიან მოქალაქეები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რვა ან ათი კლასი.

დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებში მიიღებიან მოქალაქეები 30 წლის ასაკამდე, ხოლო საღამოს (ცვლის) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებში ასაკის განუსაზღვრელად.

პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებში მიღება წარმოებს სსრკ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული წესებითა და მოსწავლეთა სამუშაოზე, საწარმოო სწავლებაზე სამედიცინო ჩვენებისა და უკუჩვენების (წინააღმდეგ ჩვენებისა) იმ ჩამონათვალის შესაბამისად, რომელი პროფესიის კვალიფიციური მუშებიც მზადდება ამ სასწავლო დაწესებულებებში.

ხალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებში მიღება იმ პროფესიის სასწავლებლად, რომელიც მაღალ მძიმე და სახიფათო სამუშაოების შესრულებასთან, აგრეთვე ტრანსპორტის მოძრაობასთან არის დაკავშირებული, წარმოებს შრომის მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

31. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეებს ეძლევათ სსრკ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დადგენილი ნიმუშის მოსწავლის ბილეთი და აკადემიური მოსწრების წიგნაკი.

32. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეებს უფლება აქვთ: უფასოდ ისარგებლონ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების განკარგულებაში მყოფი სასწავლო კაბინეტებითა და ლაბორატორიებით, სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებითა და პოლიგონებით, ბიბლიოთეკებითა და სამკითხველო დარბაზებით და სპორტული ნაგებობებით, ინვენტარით და მოწყობილობებით.

სასწავლო დაწესებულებებმა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით მონაწილეობა უნდა მიიღონ სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის, საწარმოო სწავლებისა და საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციის, აგრეთვე აკადემიური მოსწრების შრომითი და სასწავლო დისციპლინების სრულყოფისა და მოსწავლეთა სწავლისა და ყოფაცხოვრებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განხილვაში.

მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ კოლექტივის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

33. მოსწავლეები, რომლებიც საღამოს (ცვლის) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებაში ან დღის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულების საღამოს (ცვლის) განყოფილებებზე (ჯგუფებში) წარმოებიდან მოუწყვეტლივ სწავლობენ, სარგებლობენ მათთვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შეღავათებით.

34. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეები ვალდებული არიან:

სისტემატურად და ღრმად დაეუფლონ ცოდნასა და პრაქტიკულ ჩვევებს, დაესწრონ სასწავლო მეცადინეობებს, დადგენილ ვადებში შეასრულონ სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით გათვალისწინებული დავალებები.

აიმაღლონ თავიანთი იდეური და კულტურული დონე.

დაიცვან შინაგანაწესი სასწავლო დაწესებულებებსა და საწარმოში.

იყვნენ დისციპლინირებულნი და ორგანიზებულნი, დაიცვან სოციალისტური თანაცხოვრების ნორმები; გაუფრთხილდნენ და განამტკიცონ სოციალისტური საკუთრება, შეურიგებლად მოეპყრან ყოველგვარ ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს.

სწავლასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში მოსწავლეთა წარმატებისათვის წესდება წახალისების სხვადასხვა ღონისძიებანი:

ქცევის წესების დარღვევისათვის მოსწავლეების მიმართ შეიძლება მიღებული იქნას დისციპლინარული სასჯელი, სასწავლო დაწესებულებიდან გარიცხვაც კი.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეები არასასწავლო დროს მონაწილეობენ თვითმომსახურებასა და სხვა სახის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ასაკის, სქესის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით და სანიტარულ ჰიგიენური წესებისა და ნორმების დაცვით.

მოსწავლეების მიერ ამ ნორმებისა და წესების, აგრეთვე უსაფრთხოების წესების დაცვაზე კონტროლი ევალება სასწავლო დაწესებულებების ადმინისტრაციას, მედიცინის მუშაკებს, საწარმოო სწავლების ოსტატებს, მასწავლებლებსა და აღმზრდელებს.

მოსწავლეთა თეორიული და საწარმოო სწავლების გაკვეთილებიდან განთავისუფლება საზოგადოებრივი დავალებების შესასრუ-

ლებლად, სპორტული და სხვა ღონისძიებაში მონაწილეობისათვის დაუშვებელია.

36. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურებას ანხორციელებენ ამ სასწავლებელში დადგენილი წესით მიმაგრებული სამკურნალო დაწესებულებებში. სამედიცინო პერსონალი ატარებს სამკურნალო პროფილაქტიკურ და სასწავლო დაწესებულებების ადმინისტრაციასთან და პროფკავშირის კომიტეტთან ერთად სანიტარულ-ჰიგიენურ ღონისძიებებს, რომელიც ხელს უწყობს წარმატებით სწავლებასა და აღზრდას.

37. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფის ნორმებს ამტკიცებს სსრკ მინისტრთა საბჭო.

38. საწარმოო სწავლების პროცესში დამზადებული პროდუქციისათვის აგრეთვე საწარმოო პრაქტიკის პერიოდში შესრულებული სამუშაოებისათვის პროფესიულ-ტექნიკური და სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეებს მოქმედი ნორმების შესაბამისად აძლევენ ფულად ანაზღაურებას განაკვეთების (ნარგოს) მიხედვით. შესრულებული სამუშაოებისათვის მოსწავლეებს ანაზღაურება ეძლევათ დადგენილი წესითა და ნორმებით.

39. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებში სწავლის დრო ითვლება საერთო მუშაობის სტაჟად, აგრეთვე უწყვეტ მუშაობის სტაჟად თუ შუალედი სასწავლებლის დამთავრების დღიდან მუშაობის დაწყების დღემდე არ აღემატება 3 თვეს.

40. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები, რომლებსაც მიღებული აქვთ წარჩინების დიპლომი ან ატესტატი, სარგებლობენ უპირატესი უფლებით სამუშაოზე განაწილების დროს, აგრეთვე შესაბამისად უმაღლესი და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შესვლის უფლებით უშუალოდ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები, რომლებსაც მიღებული აქვთ წარჩინების დიპლომი, უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს სარგებლობენ იმ უპირატესობით, რომლებიც დადგენილია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ოქროს მედალოსან ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულთათვის.

ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებსაც მიღებული აქვთ წარჩინების დიპლომი და უმაღლეს სასწავლო და-

წესებულებებში მონათესავე სპეციალობაზე სასწავლებლად შედიან წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, თუ მისაღებ გამოცდებზე მიიღებენ დადებით შეფასებას—ჩაირიცხებიან უკონკურსოდ.

სამუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლისა და ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულებს, რომლებსაც ყველა საგანში აქვთ ფრიადი და კარგი შეფასება და წარმატებით ჩააბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდებს პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (გამოშვების 100%-ზე) უფლება აქვთ დღის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში შესაბამის სპეციალობაზე შევიდნენ უშუალოდ სასწავლო დაწესებულებების დამთავრების შემდეგ.

41. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების ივ კურსდამთავრებულებს, რომლებიც განაწილებული არიან სამუშაოზე მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გარეთ დადგენილი წესით აუნაზღაურდებათ სამუშაო ადგილზე მისვლასთან დაკავშირებული ხარჯები, ეძლევათ საცხოვრებელი და სარგებლობენ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შეღავათებით.

42. დღის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები, რომლებიც დადგენილი წესით იგზავნებიან საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, უზრუნველყოფილნი იქნებიან სამუშაოთი მიღებული პროფესიისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციის მიერ სასწავლებლად გაგზავნილი მოსწავლეები პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ იგზავნებიან იმავე საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში.

პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებული ახალგაზრდა მუშების განაწილება საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, როგორც წესი, წარმოებს საწარმოო პრაქტიკის დაწყებამდე.

დღის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებები ვალდებულნი არიან იმუშაონ არა ნაკლებ ორი წელი იმ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, სადაც ისინი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების შემდეგ არიან წარგზავნილნი.

საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღ-

ვანელებს ეკრძალებათ იმ ვადის განმავლობაში პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო-დაწესებულებების კურსდამთავრებული ახალგაზრდა მუშების მიღება სასწავლო დაწესებულებების სათანადო მიმართვის გარეშე.

43. საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებების იმ კურსდამთავრებულებს, რომელთა სწავლის ვადა ერთი წელი და მეტია მუშაობის დაწყების წინ, აძლევენ ფასიან შვებულებას მინიჭებული საკვალიფიკაციო თანრიგის (კლასის, კატეგორიის) ან შესაბამისი თანამდებობრივი განაკვეთის შესაბამისად, მოქმედი რაიონული კოეფიციენტის გათვალისწინებით.

18 წლამდე ასაკის კურსდამთავრებულებს ეძლევათ შვებულება ერთი თვის ხანგრძლივობით, რომელიც მოცემული პოფესიის და წარმოების სახეობის მუშაკთათვის არის დადგენილი საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში.

დღის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს, რომელთა სწავლის ხანგრძლივობა ერთ წელზე ნაკლებია, სწავლის დრო ეთვლება მუშაობის სტაჟად, რაც აძლევს მორიგი შვებულების უფლებას.

44. სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელი მოქალაქენი და მოქალაქეობის არამქონე პირები პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებში მიიღებიან საერთო წესით.

სსრკ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებში მიღებულ უცხოელ მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არამქონე პირებზე ვრცელდება ამ დებულებით დადგენილი მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობანი.

თუ სსრკ საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია ამ დებულებისაგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესები.

ძირითადი პროფესიების დახასიათება

ხარატი

ლითონის დამუშავებასთან დაკავშირებულ პროფესიებს შორის ყველაზე გავრცელებულია ხარატის პროფესია. ხარატი თითქმის ყველგანაა საჭირო: მანქანათმშენებლობის საწარმოსა თუ რკინიგზის დეპოში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სარემონტო სახელოსნო-

ებში, სამშენებლო ორგანიზაციებსა და ფაბრიკებში, იქ, სადაც საბალხო მეურნეობის მოხმარების ნივთებს აწარმოებენ და სხვა.

სხვადასხვა მოდელის ჩარხებზე მომუშავე ხარატი მბრუნავ ნამზადზე საჭიროების საშუალებით ჩარხავს ცილინდრულ, კონუსურ და ფასონურ ზედაპირებს, ბურღავს და ჩარხავს ნახვრეტებს, დასამზადებელ დეტალს აძლევს საჭირო ფორმასა და ზომას. ჭრის სხვადასხვა სახის ხრახნებს, მათ შორის სამაგრებს, სავალს (ბრუნვითი მოძრაობის წინსვლით მოძრაობად გარდასაქმნელად) და სხვ. გარდა ამისა, აკეთებს საჭირო გაანგარიშებებს, ჩარხს აყენებს ჭრის უფრო რაციონალურ და ეფექტურ რეჟიმზე. რთული ნამზადების დასამუშავებლად იყენებს ხელსაწყოებს, რომლებიც აადვილებს მუშაობას და ამაღლებს შრომისნაყოფიერებას. საწარმოო პროცესის საკონტროლოდ იყენებს სპეციალურ საზომ ხელსაწყოს.

რთული სახარატო ოპერაციების შესასრულებლად საჭიროა ჩარხების მოწყობილობების, კინემატიკური სქემების, სიზუსტეზე გაწყობის, საჭრელი ხელსაწყოს გეომეტრიის და მისი ალესვის, შავი და ფერადი ლითონების, აგრეთვე შენადნობების ძირითადი თვისებების კარგი ცოდნა. ამ პროფესიის მუშა თავისუფლად უნდა ერკვეოდეს დაშვებებსა და ჩასმებში, სიზუსტისა და დამუშავების კლასებში. უნდა ჰქონდეს ღრმა ცოდნა მათემატიკაში, ფიზიკასა და ხაზვაში.

კარგი მხედველობა, კონცენტრირებული ყურადღება, ჩარხის მართვის დროს ხელების კოორდინირებული მოძრაობა, ტექნიკისადმი სიყვარული, ფართო თვალთახედვა—ასეთი მოთხოვნებია წაყენებული მათდამი, ვინც გადაწყვიტა გახდეს ხარატი.

ხარატი მასზე გაპირობებულ ჩარხზე მუშაობს შენაცვლებით და უვლის მას.

უნივერსალურ სახარატო ჩარხზე მომუშავე ხარატი ასრულებს შემდეგ ოპერაციებს: ფასონური ზედაპირების, ცილინდრული და კონუსური ნახვრეტების გამოჩარხვას; ტროსებისა და საფეხურების მოჭრას (გარეთა და შიგნითა); ღარაკების მოჭრას და გამოჩარხვას: ბურღვას; ცილინდრული და კონუსური ნახვრეტების ზენკერვას, გაფართოებას, გამოჩარხვას; გარეთა და შიგნითა (ცალმაგ) ერთსვლიანი სამკუთხა და სწორკუთხა ხრახნის მოჭრას, უნდა იცოდეს სახარატო მოწყობილობა და მუშაობის პრინციპი, ყველაზე გავრცელებული უნივერსალური სამარჯვებისა და საკონტროლო საზომი ხელსაწყოს დასახელება, დანიშნულება და გამოყენების პირობები

საჭრისებისა და ბურღების ალესვისა და დაყენების წესები; დამუშავების, ჩასმების დამუშავების სიზუსტისა და სისუფთავის ძირითადი ცნობები; გამაგრილებელი და საპოხი სითხეების დანიშნულება და თვისებები; ჭრის პროცესი და ყველაზე ხელსაყრელი რეჟიმის განსაზღვრის ხერხები სახარატო დამუშავების დროს; მუშა ნახაზებისა და ესკიზების წაკითხვა და შესრულების ხერხები; უსაფრთხოებისა და სამრეწველო სანიტარიის წესები.

მღარავი

ძნელია დაასახელო მანქანის დეტალი, რომელსაც მღარავის ხელი არ შეხებია. იგი მუშაობს ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ და უნივერსალურ საღარავ ჩარხებზე და სპეციალური მრავალპირიანი მჭრელი ხელსაწყოს — ფრეზის საშუალებით ასრულებს ტექნიკური დოკუმენტაციით დასახულ ოპერაციებს. ლილვებზე ჭრის ღარაკებსა და კილოებს, ამუშავებს დეტალების სიბრტყეებსა და გვერდით ზედაპირებს, რთული კონფიგურაციის ნახვრეტებს, სხვადასხვა მანქანებისა და მექანიზმების კორპუსებს, კბილანებზე ჭრის კბილებს და ა. შ.

პროგრამული მართვის ჩარხების მომსახურებისას მღარავი მათ აყენებს წინასწარ დასახულ რეჟიმზე და თვალყურს ადევნებს დეტალების დამუშავების ავტომატური პროცესის მიმდინარეობას, არჩევს საჭირო საჭრელ, საზომ ხელსაწყოსა და სამარჯვებს, ადგენს მოწყობილობათა ყველაზე ეფექტურ რეჟიმს.

კვალიფიციურმა მღარავმა უნდა იცოდეს ჩარხების მოწყობილობა, ტექნიკური მახასიათებლები, კინემატიკური სქემები და მართვის ხერხები, დეტალების დამუშავების ტექნოლოგია. უნდა ითვისოს აგრეთვე ფრეზის დანიშნულება და გამოყენების ხერხები, მათი ალესვის წესები, მასალების თვისებები. სკოლაში მიღებული ცოდნა ფიზიკაში, მათემატიკაში, ქიმიასა და ხაზვაში დიდნაყოფიერ დახმარებას უწევს პროფესიის ათვისებაში, ხოლო შემდეგ საწარმოო ჩვევების სრულყოფაში.

სამედიცინო კომისიამ უნდა დაადასტუროს, რომ მომავალ მღარავს აქვს ნორმალური მხედველობა და სმენა, კონცენტრირებული ყურადღება, აკურატულობა და სიფრთხილე, ხელების მოძრაობის კოორდინაცია.

ზეინკალ-შემკეთებელი

ზეინკალ-შემკეთებლის შრომა გამოიყენება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში: მანქანათმშენებლობის საწარმოებში, სამშენებლო ორგანიზაციებში, სოფლის მეურნეობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში და სხვა. ზეინკალ-შემკეთებელი აღადგენს სამრეწველო მოწყობილობების პირველდაწყებით ტექნიკურ მდგომარეობას და უზრუნველყოფს მის შეუფერხებელ მუშაობას, ახორციელებს მის ყოველდღიურ მოვლა-პატრონობას, ხოლო საჭირო შემთხვევაში აწარმოებს მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას.

ზეინკალ-შემკეთებელი ადგენს მოწყობილობის ცვეთის ხარისხს, დეფექტურ უწყისებს (იმ კვანძებსა და დეტალებზე, რომლებიც შეკეთებას ექვემდებარება), აკეთებს ესკიზებს იმ დეტალების დასამზადებლად, რომელთა შეცვლაც აუცილებელია. ივი ასრულებს სხვადასხვა საზეინკლო-საშემკეთებლო ოპერაციებს: ხეწვას, მიხეხვას, ბურღვას, თერმულ დამუშავებას, ამოწმებს ჩარხებს ან მექანიზმების მუშაობის სიზუსტეს ტექნიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, იყენებს უნივერსალურ და სპეციალურ ხელსაწყოებს, სპეციალურ სამარჯვებსა და მოწყობილობებს, რომლებიც მძიმე და შრომატევადი ხელით სამუშაოების მექანიზმების საშუალებას იძლევა.

თავისი რთული სამუშაოს შესასრულებლად ზეინკალ-შემკეთებელმა სრულყოფილად უნდა იცოდეს შესაკეთებელი მოწყობილობის მოქმედების პრინციპი, გეომეტრიულ-პროფილაქტიკური შეკეთების მოწინავე ტექნოლოგია და გაცვეთილი დეტალების აღდგენის ხერხები, მოწყობილობის შემოწმების, რეგულირების, მიღებისა და მონტაჟის წესები, აუცილებელია აგრეთვე იცოდეს დაშვებები და ჩასმები, სიზუსტის კლასები, გამოყენებული ლითონებისა და შენადნობების თვისებები, ფლობდეს წარმოების ორგანიზაციისა და ეკონომიკის საფუძვლებს.

ზეინკალ-შემკეთებლის პროფესია მოითხოვს კარგ მხედველობასა და სმენას, ხელების მოძრაობის კოორდინაციას, ტექნიკურ მოსაზრებულობას, მუშაობაში ყურადღებასა და აკურატულობას, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო საგნების და, პირველ რიგში, ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, ხაზვის ღრმა ცოდნას.

მექანიკურ-საამწყობო სამუშაოთა ზეინკალი

მექანიკურ-საამწყობო სამუშაოთა ზეინკალი თითქოსდა ამთავრებს მრავალი პროფესიის წარმომადგენლების შრომას. ცალკეული დეტალები და კვანძები მის ხელში მოხვედრისას ქმნის ერთ მთლიანს — ჩარხებს, ძრავებს, ტურბინებს, ტრაქტორებს, ავტომობილებს, თბომავლებს და სხვა მექანიზმებსა და მანქანებს.

ამწყობი ზეინკალი წარმოების პროცესში მრავალ ოპერაციას ასრულებს: შაბრავს და ხეხავს შესადუღებელი დეტალების ზედაპირებს, ბურღავს და ჭრის ხრახნს, მოქლონებისა და შედუღების საშუალებით ახორციელებს მოუხსნელ შეერთებებს, არეგულირებს ასაწყობი მანქანის ან ჩარხის კვანძებსა და მექანიზმებს, პნევმატიკური და ჰიდრავლიკური მოწყობილობებით აღჭურვილ სტენდებსა და წნეხებზე აწარმოებს მათ გამოცდას. წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, ღებულობს ზომებს მათ გამოსასწორებლად და თავიდან ასაცილებლად.

მექანიკურ-საამწყობო სამუშაოთა ზეინკლის პროფესია დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს და მთელ რიგ მოთხოვნებს უყენებს მას, ვინც ეს პროფესია აირჩია. მან კარგად უნდა იცოდეს ასაწყობი ნაკეთობის მოწყობილობა, საზეინკლო დამუშავებისა და აწყობის ტექნოლოგია, რეგულირების წესები, მუშა და საზომი ხელსაწყოს დანიშნულება. აუცილებლად უნდა ისწავლოს ლითონებისა და მათი შენადნობების თვისებების გარჩევა, ნახაზების კითხვა, უნდა იცოდეს ასაწყობ კვანძებსა და მექანიზმებზე დაშვებებისა და ჩასმების ტექნიკური პირობები.

ეს პროფესია მოითხოვს კარგ მხედველობას, სმენას, ყურადღებას, ამტანობასა და ტექნიკურ მოსაზრებას, სასკოლო საგნების — მათემატიკის, ფიზიკის, ხაზვის მყარ ცოდნას.

მექანიკურ-საამწყობო სამუშაოთა ზეინკალი ძირითადად შრომობს ორ ცვლაში და დახურულ შენობაში, სადაც დაცული უნდა იყოს საჭირო ტემპერატურა.

კონსტრუქციათა კალატოზ-მემონტაჟე

ჩვენ ხშირად აღგვაფრთოვანებს ხოლმე საცხოვრებელი სახლების მაღლივი შენობების მკაცრი ხაზები, დიდებული საქარხნო კორპუსები და მთელი სამრეწველო კომპლექსები, სახეშეცვლილი ქალაქები და სოფლები. ეს ხელმარჯვე კალატოზ-მემონტაჟის ნამუშევარია.

კომპლექსური ბრიგადის შემადგენლობაში იგი ამონტაჟებს და აწყობს სამშენებლო კონსტრუქციებს, საძირკვლებს, მსხვილბლოკიან და მსხვილპანელიან კედლებსა და ტიხრებს, გადახურვის ფილებსა და პანელებს, მოაჯირთან ერთად ადგილებზე დგამს აივნის ფილებს, ამონტაჟებს კიბის ბაქნებსა და მარშებს, საყრდენ სვეტებს, ამწისქვეშა კოჭებს. მონტაჟის დასრულების შემდეგ ამოწმებს დამონტაჟებული კონსტრუქციების სისწორეს და ელექტროშედუღების საშუალებით საბოლოოდ ამაგრებს მათ. ამ პროფესიას დაუფლებული მუშა აწყობს აგრეთვე ყორეებეტონის საძირკვლებს, კედლებს, შუაკედლებს, შესაბათქაშებელი აგურის, ბეტონისა და წიდაბეტონის ქვის ტიხრებს, აპირკეთებს ფილებით, ავსებს კედლის ღიობებს მინაბლოკებით.

კალატოზ-მემონტაჟის ცოდნის დიაპაზონი ფართო და მრავალმხრივია. არ კმარა სხვადასხვა სახის საკალატოზო და სამონტაჟო სამუშაოების შესრულების ტექნოლოგიური პროცესის ათვისება, ნაგებობათა ასაგებად გამოყენებული დეტალებისა და ანაწყობი კონსტრუქციების ცოდნა, საჭიროა მასალებისა და ხსნარების თვისებების, საძირკვლებისათვის გამოყენებული კედლების, საყრდენი სვეტებისა და კოჭების დამზადების, საკალატოზო და სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისა და მიღების სამშენებლო ნორმებისა და წესების შესწავლა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ტვირთამწევი ამწის მეამწისათვის პირობითი ნიშნებით განკარგულებების გადაცემის დაუფლება, არასოდეს არ უნდა დაარღვიოს უსაფრთხოების ტექნიკის წესები.

ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა პასუხობდეს სიმაღლეზე მომუშავეებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, აუცილებელი თვისებებია — სიფრთხილე და ყურადღების განაწილების უნარი, მოსაზრებულობა, კარგი თვალზომა, სივრცობრივი და კონსტრუქციული წარმოდგენა.

სპეციალური დისციპლინების გარდა, მნიშვნელობა აქვს ხაზვის, ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის ცოდნას.

მეარმატურე-ელექტროშემდუღებელი

სამრეწველო და საცხოვრებელი შენობების, სატრანსპორტო და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობაზე მეარმატურე-ელექტროშემდუღებლის პროფესია წამყვანია.

რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნებსა და სამშენებლო-სა-

მონტაჟო ორგანიზაციებში მუშაობისას მეარმატურეები ჭრიან და ღუნავენ საარმატურე ფოლადის ნამზადებს სპეციალური დაზგების საშუალებით. ანაწყობი და მონოლითური რკინაბეტონისაგან აწყობენ და ადუღებენ არმატურის ბლოკებსა და კარკასებს; ყალიბებში აყენებენ მათ. ადუღებენ სხვადასხვა ლითონკონსტრუქციებს.

მეარმატურემ უნდა იცოდეს არმატურის ძირითადი სახეები, მისი დამზადებისა და მონტაჟის ტექნოლოგია, არმატურის დეტალების დასამზადებელი დაზგების მოწყობილობა და ექსპლუატაციის წესები, უნდა ფლობდეს მექანიზებულ ხელსაწყოებსა და სამარჯვებს, უნდა იცოდეს არმატურის კონსტრუქციების დაყენებისა და ყალიბებში ჩამაგრების წესები, შესადუღებელი მოწყობილობა, შედუღებული ნაკერებისადმი წაყენებული მოთხოვნები.

ამ პროფესიის მუშებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენა საარმატურე ფოლადის დანიშნულებასა და თვისებებზე, საარმატურე-შედუღების სამუშაოების დროს წარმოშობილი წუნის სახეების, მათი თავიდან აცილების ღონისძიებების შესახებ.

შესასრულებელ სამუშაოთა ხასიათი მეარმატურე-ელექტროშემდუღებლისაგან მოითხოვს ყურადღებასა და სიფრთხილეს, მოძრაობათა მოქნილობისა და მოხერხებულობის შერწყმას, გავარჯიშებული უნდა იყოს სიმაღლეზე მუშაობაში, ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა — განუხრელად იცავდეს უსაფრთხოების ტექნიკის წესებს. პროფესიის ათვისების პროცესში ნაყოფიერად გამოადგება ხაზვის, ხატვის, ფიზიკის, ქიმიის ცოდნა.

მღებავი

(სამშენებლო, სამონტაჟო და სარემონტო-სამშენებლო საქმის)

მღებავი უსვამს ოლიფას, გრუნტავს, ფითხავს ზედაპირებს შესაღებად, ღებავს მათ ფუნჯებით, ლილვებითა და ხელის საღებავი პულტებით; განსაზღვრავს გამოყენებული მასალების, მასტიკებისა და საღებავების ვარგისიანობას, მექანიზებულ დანადგარებზე ამზადებს საღებავ, საფითხნ შემადგენლობებს.

უნდა იცოდეს ღებვისა და გადაკვრითი სამუშაოების შესრულებისას გამოყენებული ძირითადი მასალებისა და შედგენილობების თვისებები; საღებავი შედგენილობების მომზადებისა და წებოს მოხარშვის წესები; მაღალხარისხოვანი შეღებვის, შპალერისა და

ლინკრუსტის გადასაკრავად გათვალისწინებული ზედაპირისადმი წაყენებული მოთხოვნები; სამუშაოების შესრულების წესები ხელის საღებავი პულტითა და საფითხი შედგენილობის ასარევი და გადასალესი მანქანებით.

კოშკურა ამწის მემანქანე

კოშკურა ამწის მემანქანე მუშაობს შენობების ასაწყობი რკინაბეტონის ელემენტების (საძირკვლების, ბლოკების, პანელების, კიბის მარშების და ა. შ..) დამონტაჟებაზე.

მას უნდა შეეძლოს ამწის მართვა ტვირთის აწევისა და დაშვების, ამწის გადაადგილების, მობრუნებისა და აგრეთვე შენობათა დამონტაჟების დროს; ამწის მექანიზმის მუშაობაში მცირე უწესივრობის აღმოჩენა და თავიდან აცილება, მისი მიმდინარე შეკეთების, საზეინკლო სამუშაოების შესრულება საშუალო და კაპიტალური შეკეთებისას; უმარტივესი ნახაზებისა და კინემატიკური სქემების წაკითხვა, კარგად უნდა იცოდეს ამწის მოწყობილობა, ყველა მექანიზმის დანიშნულება და მოქმედების პრინციპი, ამწისქვეშა გზის მოწყობილობა და მისი ექსპლუატაციის წესები; შეისწავლოს ამწეზე მუშაობის საწარმოო ინსტრუქცია; იცოდეს სამშენებლო ნაკეთობათა დასახელება და დანიშნულება, მათი სატვირთო ბაგირით დამაგრების, აწევისა და სამუშაო ადგილზე დაშვების ხერხები. ამწის მართვის უფლების მისაღებად უნდა ჩააბაროს გამოცდა.

ავტოამწის მემანქანე

ავტოამწის მემანქანე აწარმოებს ცალობრივი მასალებისა და ნაკეთობათა დატვირთვა-გადმოტვირთვას, შენობათა და ნაგებობათა ანაწყობი კონსტრუქციების მონტაჟს. ტრანშეაში ტვირთავს და აწყობს წყალსადენ და საკანალიზაციო მილებს.

უნდა იცოდეს ავტოამწის ნაწილები და მათი ურთიერთმოქმედება; დატვირთვა-გადმოტვირთვისა და სამონტაჟო სამუშაოთა ხერხების სწორად გამოყენება.

ავტოამწის მემანქანის პროფესიის მისაღებად მუშამ უნდა მიიღოს ავტომობილის მძღოლის ნებართვა.

მომპირკეთებელი მეფილე

მომპირკეთებელი-მეფილე კერამიკული და ბეტონის ფილებით აპირკეთებს შენობათა ფასადებს; აწყობს გარეთა კიბეების ქვისა და ბეტონის საფეხურებს; დგამს ღობისა და პარაპეტების გათლილი ქვის ბოძკინტებს; აპირკეთებს ხიდების სანაპირო ნაგებობებსა და მალებს; აბანოებში, სანიტარულ კვანძებში, სამრეცხაოებში, სამზარეულოებში, სააბაზანო ოთახებში აგებს ფილების იატაკს და ფილებით აპირკეთებს კედლების შიგნითა ზედაპირებს.

მან უნდა იცოდეს მოსაპირკეთებელი ფილების სახეები, მათი დამზადებისა და გამოყენების ხერხები; იატაკის დაგების წესები კერამიკული და ბეტონის ფილებით; ხსნარებისა და მასტიკების მომზადების ტექნოლოგიური პროცესი; ჰიდროიზოლაციის მოწყობა და მისადმი წაყენებული მოთხოვნები; საფილე სამუშაოებში ხსნარების მოსამზადებლად და გადასაზიდად გამოყენებული მანქანების მოწყობილობა და მოქმედების პრინციპი.

ხურო

ხურო ასრულებს ხელით ან ელექტროფიცირებული ხელსაწყოთი ხის დამუშავების ძირითად სახეებს; ამზადებს ტიხრების შესაბათქაშებელ და გადახურვის ფიცარფენის ფარებს, კედლებსა და ჭერს ფიცრავს შესაბათქაშებლად და მოსაპირკეთებლად, კოჭებზე აგებს ფიცარფენასა და შავ (შუანაგ) იატაკს; აყენებს პლინთუსებსა და ჰალტელებს, სვეტების, კოჭების, ფილების, კედლების გადახურვის, ზეწრების, ტიხრებისა და საძირკვლების ყალიბებს; გარეგნული შეხედულებებით განსაზღვრავს მერქნის ნაკლს; გამოცდილი ხუროს ხელმძღვანელობით ასრულებს ხის კონსტრუქციების დამზადებისა და დამონტაჟების უფრო რთულ სამუშაოებს.

უნდა იცოდეს ხის მასალების ძირითადი თვისებები და სახეები, მერქნის ჯიშები და მანკები, მასალების ხარჯვის ნორმები. სადურგლო სამუშაოების შესრულებისას გამოყენებული იარაღებისა და მექანიზმების ალესვის წესები; მერქნის ჩვეულებრივი და ელექტროფიცირებული იარაღით დამუშავების წესები და ხერხები; სადურგლო და საყალიბო სამუშაოთა ძირითადი სახეები, მათი შესრულების თანამიმდევრობა და ხერხები; ანტისეპტიკური შემადგენლობების მოხმარებისა და ხის ზედაპირზე წასმის, ხის მარტივი კონსტრუქციების დაშლის ხერხები; წარმოდგენა უნდა ჰქონდეს სამშენე-

ბლო სამუშაოთა წარმოებაზე, მშენებლობის კომპლექსური მექანიზაციის ინდუსტრიალიზაციასა და ეკონომიკაზე.

ᲛᲔᲞᲐᲠᲙᲔᲢᲔ

მეპარკეტე აგებს და არემონტებს პარკეტის იატაკებს, ტკეჩის დამზადებისას დამოუკიდებლად მართავს პარკეტის იატაკის სარანდავ და სახვეწ მანქანებსა და დაზგებს; აპირკეთებს ტკეჩის საფეხურებს ზღურბლებთან, კედლებთან და ფრიზებთან, ბიჯების ადგილებში.

უნდა იცოდეს ტკეჩის დამზადებისა და პარკეტის იატაკების გამოსაყვანი მანქანების მოწყობილობა და ექსპლუატაციის წესები. მასტიკის თვისებები და შედგენილობები; ლარტყებზე და პლასტიკურ მასალებზე დაგებული იატაკის თავისებურებები. სარანდ დაზგაში, სახვეწ და სხვა მანქანებში ჩაყენების წესი.

უმაღლესი კვალიფიკაციის მეპარკეტე აგებს მხატვრულ (მოზაიკურ) ფასონურ პარკეტის იატაკს, არჩევს ფერებს მერქნის ტექსტურის ან ფერის მიხედვით.

ᲖᲔᲘᲜᲙᲐᲚ-ᲡᲐᲜᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲘ

ზეინკალ-სანტექნიკოსი ახალი შენობებისა და ნაგებობების შენაერთებისა და სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობილობების შეკეთებისას ასრულებს სანიტარიულ-ტექნიკურ სამუშაოებს, როგორც შენობების შიგნით, ისე ღია მოედანზე ამონტაჟებს წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო, საგენტილაციო და გაზიფიკაციის სისტემებს.

უნდა იცოდეს სანიტარიულ-ტექნიკური სამუშაოების წარმოების წესი; დასახელებისა და ზომების მიხედვით შეეძლოს მილებისა და მათი შესაბამისი ფასონური ნაწილების შერჩევა, მილების მოღუნვა დაზგებზე ცივ და ცხელ მდგომარეობაში, ხრახნის მოჭრა მილებსა და ჭანჭიკებზე; იცოდეს მილების ქუროებითა და შედუღებით შეერთების მეთოდები, აბაზანების, უნიტაზების, ბაკნების, პირსაბანების, ორთქლისა და წყლის ქვაბების სწორად დადგმა, რადიატორების დაკიდვა, გაზის მოწყობილობის დადგმა, მილსადენებისა და სანიტარიულ-ტექნიკური ხელსაწყოების გამოცდის ნორმები. სხვადასხვა საზეინკლო და საზომი იარაღების დანიშნულება და გამოყენება; შეეძლოს ხრახნსაჭრელ, მილსაჭრელ და სხვა ჩარხებსა და მექანიზმებზე მუშაობა;

მებათქაშე

მებათქაშე მუშაობს ქვის ან ხის ზედაპირების გასწორებაზე. არქიტექტურულად და დეკორატიულად აფორმებს შენობათა (ნაგებობათა) ფასადებს და ჭერს, ბათქაშის მშრალი და სველი ხერხით ათბუნებს გარეთა კედლებს.

უნდა იცოდეს საბათქაშე მანქანებისა და მექანიზმების ხსნარსარეველების, ცემენტ-ფიფქის, ხსნარსატუმბების დანიშნულება, მოწყობილობა და მართვა, ბათქაშისათვის გამოყენებული მასალების ძირითადი სახეები და თვისებები, დეკორატიული ბათქაშის შესრულების ხერხები.

დურგალი (მუენეგელი)

დურგალი ხის დამმუშავებელ დაზგებზე ამუშავებს მერქანს; ამზადებს და კარებისა და ფანჯრების ბლოკების ადგილზე აყენებს სადურგლო ზოლურებს, სახელურებს და სხვა სადურგლო-სამშენებლო ნაკეთობებს; კარებსა და ფანჯრებზე ამაგრებს ანჯამებს, კლიტეებსა და სხვ.

უნდა იცოდეს სადურგლო-სამშენებლო ნაკეთობათა და ჩაშენებული ავეჯის დასამზადებლად გამოყენებული მასალების სახეები და თვისებები; სახელურების, პლინთუსების, კარნიზების, სადურგლო ტიხრების, პანელების დამზადების ტექნოლოგია და მათი ადგილზე დაყენების ხერხები; ხის დასამუშავებელი ჩარხების, მექანიზებული და ხელის ჩვეულებრივი იარაღების, სამარჯვების ექსპლუატაციის და მათი ტექნიკური მოვლის წესები; სადურგლო ნაკეთობათა ელემენტების შედუღებისა და შეერთების ხერხები; სამუშაო ადგილის ორგანიზაციის წესები, მუშაობის მოწინავე ხერხები და მეთოდები.

ელექტროშემდუღებელი

ელექტროშემდუღებელი ასრულებს ლითონის დეტალების ხელით ელექტრორკალური შედუღების, ხოლო ავტომატურ და ნახევრად ავტომატურ დანადგარებზე შესადუღებელი, წერტილოვანი და ნაკერიანი შედუღების სამუშაოებს: არეგულირებს მანქანას, დენის საჭირო ძალასა და ძაბვას; თვალყურს ადევნებს საშემდუღებლო მოწყობილობის მუშაობის რეჟიმს; სამარჯვების გამოყენებით დეტალებს ადუ-

ლებს შეპირაპირებითა და პირგადადებით; ჭრის და ადუღებს ლითონს, ფოლადის, თუჯისა და შენადნობის დეტალებში ადუღებს სიცარიელესა და ბზარებს.

მან უნდა იცოდეს ელექტროტექნიკის საფუძვლები, საშემდუღებლო აპარატების, გენერატორების, ტრანსფორმატორებისა და ავტომატური საშემდუღებლო მანქანების სქემები და კონსტრუქციები, საშემდუღებლო შეერთებებისა და ნაკერების სახეები; შესადუღებელი ზედაპირების შესადუღებლად მომზადების, ხელის მანქანური ელექტროკალური და კონტაქტური შედუღების, სხვადასხვა ელექტროდებით შედუღების, შედუღების შეერთებების ხარისხის კონტროლისა და გამოცდის წესები და ხერხები; წუნის მიზეზები ელექტროშედუღების დროს, მისი თავიდან აცილების და ლიკვიდაციის ხერხები.

შემდუღებლის მუშაობა ფიზიკურ წრთობას და ამტანობას მოითხოვს.

აირით შემდუღებელი

აირით შემდუღებელი ასრულებს დეტალებისა და კვანძების დაბალ, ვერტიკალურ, ჰორიზონტალურ, ჭერისეულ მდგომარეობაში აირით შედუღების სამუშაოებს: ხელის აცეტილენ-ჟანგბადისა და ნავთჟანგბადის საჭრელით მონიშვნით და სამარჯვების გამოყენებით აწარმოებს დადუღებას მარტივ დეტალებსა და კვანძებზე, ლითონის სწორხაზოვან და მრუდხაზოვან ჭრას, აგრეთვე მექანიზებულ ჭრას ნახევარავტომატების გამოყენებით; ასრულებს ფოლადების, თუჯისა და უჟანგავი ფოლადის ზედაპირულ, ჟანგბადურ და ჟანგბადფლუსურ ჭრას; დეტალებსა და კვანძებს შესადუღებლად აწყობს საჭირო ღრეჩოების დაცვით; განსაზღვრავს შედუღების გარეგნულ დეფექტებსა და მათ გამომწვევ მიზეზებს.

უნდა იცოდეს შავი და ფერადი ლითონების ფიზიკურ-ქიმიური და მექანიკური თვისებები, მათი თერმული დამუშავების საფუძვლები; გოსტ-ის მოთხოვნები შავი და ფერადი ლითონებისადმი; შედუღების ნაკერებისადმი მოთხოვნები; შედუღების დროს მოსალოდნელი დეფორმაციების თავიდან აცილების მეთოდები; სამარჯვების დანიშნულება შედუღების დროს, მათი ძირითადი ტიპები; უნდა შეეძლოს მუშა ნახაზებისა და ტექნოლოგიური რუკების წაკითხვა, პირველი დახმარების აღმოჩენა უბედური შემთხვევის დროს.

ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანე

ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანის პროფესია ყველაზე გავრცელებული პროფესიაა სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა შორის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მინდვრის სამუშაოების დროს მართავს მიწის დასამუშავებელი, სათესი და ნათესის მოსავლელი მისაბმელი და დაკიდული სასოფლო-სამეურნეო მანქანებიან მძლავრ შასებიან და თვლიან ტრაქტორებს. საჭიროების შემთხვევაში მუშაობს მარცვალასაღებ და სპეციალურ კომბაინებზე, გადააქვს სხვადასხვა ტვირთი.

ფლობს რა ზეინკლის კვალიფიკაციას, ყოველდღიურად აწესრიგებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექნიკურ მდგომარეობას, დამოუკიდებლად ასწორებს უწესივრობებს, ტრაქტორებისა და კომბაინების შეკეთების დროს ასრულებს საზეინკლო-სამონტაჟო ოპერაციებს, ამზადებს მათ ზამთარში შესანახად. იგი მკაცრად უნდა იცავდეს მანქანების ტექნიკური ექსპლოატაციის ინსტრუქციებს, ტრანსპორტის ქუჩაში მოძრაობისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესებს, აგროტექნიკის ძირითად მოთხოვნებს, უნდა იცოდეს სხვადასხვა მარკის ტრაქტორების, კომბაინების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოწყობილობა და მუშაობის პრინციპი, უნდა იცოდეს აგრონომიისა და მასალათმცოდნეობის საფუძვლები.

მან სასკოლო პროგრამის ფარგლებში კარგად უნდა იცოდეს ბოტანიკა, ფიზიკა, ქიმია, ხაზვა, მათემატიკა.

აღნიშნული პროფესია მოითხოვს ყურადღებას, ფართო ტექნიკურ თვალთახედვას, სწრაფ რეაქციას, მხედველობით ორიენტაციას, ტექნიკისა და მიწისადმი სიყვარულს.

ბულდოზერის, სკრეპერის, გრეიდერის მემანქანე

მემანქანე მიწასათხრელ-საშანდაკებელი და მიწასათხრელ-სატრანსპორტო მანქანების მეშვეობით თხრის ქვაბულებს, ტრანშეებს, გადააადგილებს და ტვირთავს გრუნტს; ჭრის ნიადაგის ზედაპირის უსწორებებს; აფხვიერებს და ასწორებს გრუნტს: ამუშავებს პატარა თხრილებს, აკეთებს წყალსარინ არხებს, კიუვეტებს, დაპროფილებულ გზებსა და ასრულებს სხვა მიწასათხრელ-საშანდაკო სამუშაოებს.

მან კარგად უნდა იცოდეს სხვადასხვა მოდელის ბულდოზერის, სკრეპერის, გრეიდერის დანიშნულება და მოქმედების პრინციპი; შიგაწვის ძრავების მოწყობილობა, შეეძლოს მათში დამახასიათებელი უწესივრობის აღმოჩენა და გამოსწორება, იცოდეს გრუნტების სახეები და თვისებები, მათი დამუშავების ხერხები და წესი: მიწის ამოშრობისა და მელიორაციის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვის ხერხები; ქუჩაში ტრანსპორტის მოძრაობის წესები და მათი დაცვა.

მუშაობაში წარმატების მიღწევა შეიძლება მხოლოდ ფიზიკაში, ქიმიაში, მათემატიკაში, ხაზვაში, გეოგრაფიაში მყარი ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის საფუძველზე.

აღნიშნული პროფესია მოითხოვს ყურადღებას, სწრაფ რეაქციასა და ხელების მოძრაობათა ზუსტ კოორდინაციას, სივრცეში ორიენტირებას, მახვილ მხედველობით მგრძნობელობას.

ტრაქტორების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებელი ზეინკალი

იგი თავისი შრომით უზრუნველყოფს მანქანა-ტრაქტორებისა და საავტომობილო პარკის საიმედო და შეუფერხებელ ექსპლუატაციას, ზეინკალთა ბრიგადის შემადგენლობაში სამუშაოს ასრულებს კოლმეურნეობათა ან საბჭოთა მეურნეობათა სახელოსნოებში, სპეციალიზებულ ქარხნებში, საველე პირობებში.

კარგად უნდა ფლობდეს საზეინკლო-საშემკეთებლო ოპერაციების შესრულების ხერხებს.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დამთავრების შემდეგ მონაწილეობს მანქანების ტექნიკურ დიაგნოსტიკაში, ე. ი. სპეციალური ხელსაწყოებისა და სამარჯვების საშუალებით განსაზღვრავს ცალკეული დეტალებისა და კვანძების ცვეთის ხარისხს. მიმდინარე შეკვეთების დროს ადგენს თუ რომელი ნაწილია შესაცვლელი ან აღსადგენი, ამოწმებს მექანიზმებს, ზეთავს მანქანებს. ტრაქტორების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების კაპიტალური შეკეთების პროცესში ასრულებს დეტალების დამუშავების სხვადასხვა საზეინკლო ოპერაციებს, აწყობს, არეგულირებს და ცდის კვანძებსა და მექანიზმებს. იცნობს რემონტის დროს აუცილებელი დეფექტური უწყისების, მიღება-ჩაბარების აქტებისა და სხვა დოკუმენტაციის დანიშნულებას, შინაარსსა და შევსების წე-

სებს. ერკვევა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ტრაქტორებისა და ავტომობილების მუშაობის პრინციპებსა და კონსტრუქციულ თავისებურებებში. იცის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დამლის, შეკეთებისა და აწყობის ტექნოლოგიური თანამიმდევრობა, გაცნობილია დაშვებებისა და ჩასმების სისტემებს, ელექტრულ დანადგარებს, კავშირგაბმულობის ელექტროქსელებსა და მოწყობილობებს, ექსპლუატაციას უწევს და ემსახურება მათ საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში. ამონტაჟებს შიდა ძალურ და განათების გაყვანილობებს, ელექტროძრავებს ქსელში რთავს და უერთებს მუშა მანქანებს. ქსელში რთავს ძალურ გამანაწილებელ დაფებსა და გამშვებ მოწყობილობას, აყენებს და ემსახურება სანათებს, ელექტროგანათების ჯგუფურ დაფებსა და განათების ელექტროდანადგარების კომუტაციურ აპარატურებს.

ამონტაჟებს და თვალყურს ადევნებს მაღალი და დაბალი ძაბვის საჰაერო ხაზების სატრანსფორმაციო პუნქტების, რადიოდანადგარების, სატელეფონო დანადგარების, სატელეფონო სადგურების, კავშირგაბმულობის დანადგარებისა და ხაზების ტექნიკურ მდგომარეობას, ამასთან ერთად მტკიცედ იცავს უსაფრთხოების ტექნიკის წესებსა და ინსტრუქციებს.

სამუშაოების კვალიფიციურად შესასრულებლად, ელექტრომონტიორმა უნდა იცოდეს ელექტრული მანქანების, გამშვები აპარატურისა და ტრანსფორმატორების, ელექტროსადგურების, რადიოფიკაციისა და სატელეფონო კავშირის დანადგარების დანიშნულება, მოწყობილობა და მუშაობის პრინციპი. იგი უნდა იცნობდეს ტრაქტორების, ავტომობილების და კომბაინების ელექტრომოწყობილობას ელექტროსამონტაჟო საქმეში გამოყენებული მასალების თვისებებს; კარგად უნდა ერკვეოდეს ელექტრულ და ელექტროსამონტაჟო, დაცვის ბლოკების სქემებში; უნდა შეეძლოს რადიოსამონტაჟო სქემის წაკითხვა.

მისი წარმატებით მუშაობა შეუძლებელია ფიზიკის, მათემატიკის, ხაზვის, აგრეთვე, სპეციალური და ზოგადტექნიკური დისციპლინების ცოდნის გარეშე, რომელსაც იგი პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში იძენს.

პროფესია მოითხოვს განვითარებულ ტექნიკურ აზროვნებას, განათლებას, ყურადღებას, განსაკუთრებულ სიფრთხილეს მუშაობაში.

მეცხოველეობის ფერმების მექანიზატორი ელექტრომონტიორის კვალიფიკაციით

ეს პროფესია ფართო პროფილისაა და წამყვანია მსხვილი რქოსანი საქონლის, მეღორეობის, მეცხვარეობისა და მეფრინველეობის ფერმებში, მეფრინველეობის ფაბრიკებსა და მეცხოველეობის მსხვილ საწარმოებში, სადაც წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაციაა დანერგილი.

მეცხოველეთა ბრიგადის შემადგენლობაში მექანიზატორი ასრულებს საკვები საამქროს ოპერატორის, ძროხების მექანიკური წველის ოსტატის, მეღორე-მექანიზატორის, ცხვრის ელექტრომექანიკური საკრეჭით მკრეჭავის მეფრინველე-მექანიზატორის სამუშაოებს. რაციონის შესაბამისად საზღვრავს საკვებზე მოთხოვნასა და მისი ხარჯვის ნორმებს, კვებავს და უვლის ცხოველებს, საკვების მომზადებისა და ჩამორიგების ტექნოლოგიურ ხაზზე მართავს მანქანებსა და მოწყობილობებს, ემსახურება და არემონტებს ძროხის რძის საწველ პირველადი დამუშავების მანქანებსა და მოწყობილობებს, აგრეთვე, ფერმების თბომომარაგების, ელექტრომომარაგებისა და წყალმომარაგების დანადგარებს. ამონტაჟებს, მართავს ამოწმებს და ტექნიკურ მომსახურეობას უწევს მეცხოველეობის ფერმებში გამოყენებულ მანქანებს, მოწყობილობებს, ძრავებსა და საკონტროლო-საზომ და ავტომატიკის ხელსაწყოებს; ამონტაჟებს და ემსახურება შიდა ძალურ და განათების ქსელს, ელექტროძრავებსა და მუშა მანქანებს აერთებს ქსელში.

მეცხოველეობის ფერმების მექანიზატორი დამოუკიდებლად მართავს ავტომობილს, მუშაობს საკვები კულტურების ასაღებ, ბალახის ფქვილის მოსამზადებელ დაკიდულ და მისაბმელ მანქანებიან ტრაქტორზე, ასრულებს დატვირთვა-გადმოტვირთვისა და სატრანსპორტო სამუშაოებს. მუშაობის პროცესში მასვე ევალება მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკური მოვლა, უწესივრობის მიზეზების განსაზღვრა და მათი გასწორება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიმდინარე შეკეთება.

მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორმა ელექტრომონტიორის კვალიფიკაციით უნდა იცოდეს კომპლექსური მექანიზაციისათვის გამოყენებული მანქანებისა და აღჭურვილობის მოწყობილობა, მათი მოქმედებისა და ტექნიკური მომსახურების პრინციპი, საკვებწარმოების საფუძვლები, სხვადასხვა სახის საკვების (რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო ცხოველების კვებისა და შენახვისათვის)

დახასიათება, აგრეთვე მათი კვებითი ფასი, ვეტერინალურ-სანიტარული მოთხოვნები და ზოოჰიგიენის წესები.

დიდი მნიშვნელობა აქვს საბუნებისმეტყველო-მათემატიკური საგნების, ბიოლოგიის, ქიმიის, გეოგრაფიის, მათემატიკისა და ფიზიკის კარგ ცოდნას საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში.

მექანიზატორი უნდა იყოს დაკვირვებული, უაღრესად ყურადღებიანი და წინდახედული, ფიზიკურად ამტანი, ანგარიშიანი და მეურნე. ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და პროდუქციის სისუფთავის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილებაა — პირადი ჰიგიენისა და ვეტერინარულ-სანიტარული წესების დაცვა.

სამელიორაციო სამუშაოთა მექანიზატორი

სამელიორაციო სამუშაოთა მექანიზატორი მუშაობს მოძრავ მექანიზებულ კოლონებში. მართავს თვითმავალ გრეიდერებს, აგრეთვე მიწასათხრელ მანქანა-აგრეგატებს, ტრაქტორებსა და ექსკავატორებს. აგებს კაშხალებსა და წყალსაცავებს, სარწყავ და საშრობ სისტემებს, არხებსა და სატუმბ სადგურებს, ამონტაჟებს საწვიმებელ დანადგარებს. ყოველდღე უვლის ტექნიკას, ავლენს და ასწორებს უწესივრობებს.

შესრულებულ სამუშაოთა შესახებ ავსებს პირველად საალრიცხვო დოკუმენტაციას, ანგარიშობს მანქანის მწარმოებლურობას, საწვავი, საპოხი-მასალების ხარჯვას შესრულებული სამუშაოების ერთეულზე.

სამელიორაციო სამუშაოთა მექანიზატორმა უნდა იცოდეს ტრაქტორებისა და მიწასათხრელი მანქანების, სამელიორაციო ტექნიკის მოწყობილობა და მუშაობის პრინციპი, მათი შეკეთების ორგანიზაციის, ტრანსპორტის ქუჩაში მოძრაობის წესები. იცნობდეს მელიორაციის საფუძვლებს, გრუნტების თავისებურებებს, კატეგორიებს და თვისებებს, მიწის სამუშაოების წარმოების ორგანიზაციასა და ტექნოლოგიას, რწყვის სამუშაოებისა და ნამუშევრის ხარისხის შემოწმების მეთოდებს.

ამ პროფესიის წარმატებით ასათვისებლად საჭიროა სასკოლო პროგრამის ფარგლებში ისეთი საგნების ღრმა ცოდნა, როგორიცაა ქიმია, ბოტანიკა, ხაზვა და ფიზიკა.

ბოსტნეულისა და კარტოფილის გადამმუშავებელი ოსტატი

ოსტატი ამწნილებს ბოსტნეულს, ასუფთავებს და ახმობს კარტოფილს. უნდა იცოდეს ბოსტნეულის დამჟავების, დამარილების, დალბობისა და დამწნილების ტექნოლოგიური რეჟიმი; ბოსტნეულის ხიზილალის, სახამებლისა და ბადაგის წარმოება; ბოსტნეულისა და კარტოფილის გახმობის ტექნოლოგია, გამხმარი ბოსტნეულისა და კარტოფილის შეფუთვის, შენახვისა და გადაზიდვის წესები.

ხილმებოსტნე

ხილმებოსტნე ბოსტნეულს აშენებს კვალსათბურებსა და სათბურებში, აგრეთვე ღია გრუნტზე. ღია გრუნტზე დასარგავად ხილმებოსტნეს ჩითილების მომზადება უხდება სპეციალური აფსკით დათბუნებულ გრუნტზე, ტორფ-ნეშომპალიან ქოთნებში, საბჭოთა მებოსტნეებმა ისწავლეს ბოსტნეულის მოყვანა შორეულ ჩრდილოეთში. შორეულ კამჩატკაზეც კი მწიფდება პამიდორი.

მებოსტნეებზეა დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მთელი კომპლექსი ბოსტნებსა და ბაღებში. ისინი ფართოდ იყენებენ სხვადასხვა მექანიზმებსა და შხამქიმიკატებს.

ხილმებოსტნის სამუშაო — ყველაზე მომხიბლავია სოფლის მეურნეობაში. ბევრი მათგანი დაჟინებულ ყურადღებას უთმობს სელექციას, ბოსტნეულისა და ხილის ჯიშების შერჩევასა და გამოყვანას, არსებული ჯიშების ახალი კლიმატური პირობებისა და ნიადაგისადმი შეგუებას.

მკერავი

(მამაკაცისა და ბავშვის პალტოს, მამაკაცის და ბავშვის კოსტუმის, ქალისა და ბავშვის პალტოს, ქალის კოსტუმების).

მკერავი კერავს მამაკაცის, ქალის და ბავშვის ზედა ტანსაცმელს; უვლის საკერავ მანქანას, ასწორებს მის მუშაობაში მცირე უწესივრობებს, ამოწმებს უთოების, ხელსაწყოების, სამარჯვეების მდგომარეობას; აორგანიზებს თავის სამუშაო ადგილს, სამუშაო დღის განმავლობაში იცავს სისუფთავეს და წესრიგს. მან უნდა იცოდეს მამაკაცის, ქალისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის ასორტიმენტი, ყველა სახის, მექანიკური, ხელის და საუთოებელ-საწნეხი სამუშაოების შესრულების ხერხები. მათი ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნები;

გამოყენებული მანქანების, ხელსაწყოების, უთოების, წნეხისა და სამარჯვების მოწყობილობა და დანიშნულება; შესაკერი მასალები და მათი ძირითადი თვისებები.

მკერავი მუშაობს სამკერვალო საწარმოო გაერთიანებაში, სამკერვალო ფაბრიკებსა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებაში, ამიტომ მან სისტემატიურად უნდა ადევნოს თვალყური მოდას.

მრთველი

მრთველი მუშაობს სართავ ფაბრიკაში ან საფეიქრო ფაბრიკების სართავ საამქროებში.

სართავ მანქანებზე ამზადებს სხვადასხვა სახის ნართს, რომლისგანაც შემდეგ საფეიქრო ფაბრიკებში ქსოვენ შალის, ბამბისა და სინთეზურ ქსოვილებს.

მრთველი სამუშაოდ ამზადებს მოწყობილობებს, სართავი მანქანის ჩარჩოზე აყენებს თითისტრებს, ცვლის მათ, აბამს გაწყვეტილ ძაფებს, თვალ-ყურს ადევნებს ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობას, არეგულირებს თითისტარების სიჩქარეს, ამოწმებს გამომუშავებული ნართის ხარისხს, მანქანის მუშა ორგანოებს წმენდს ჩახვეული ბოჭკოებისაგან, ცვლის გაცვეთილ ლილვებსა და გაწმენდ სამარჯვებს, აგროვებს განთავისუფლებულ კოჭებს, სახეების მიხედვით ახარისხებს ნარჩენებს. თვალყურს ადევნებს მანქანების ძირითადი მექანიზმების ტექნიკურ მდგომარეობას, ასწორებს მცირე დეფექტებსა და უწესივრობებს, იცავს მანქანების გაწმენდისა და შეზეთვის გრაფიკს. მუშაობის პროცესში მანქანების შემოელისას იყენებს რაციონალურ მარშრუტებს.

მუშაობაში წარმატებას რომ მიაღწიოს, მრთველმა უნდა იცოდეს სართავი მანქანების სახეები და მოწყობილობა, ნართის აგებულება, მისი თვისებები და სახეები, ნართისადმი წაყენებული მოთხოვნები, მისი ნუმერაცია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად. რთვის ტექნოლოგიურ პროცესთან ერთად აუცილებელია იცოდეს ქსოვისა და ქსოვილის გამოყვანის საფუძვლები, ნედლეულის, მასალებისა და ნახევარფაბრიკატების ხარჯვის, მრთველის გამომუშავების ნორმები, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე.

პროფესიის წარმატებით ასათვისებლად აუცილებელია სასკოლო

პროგრამების ფარგლებში ისეთი საგნების მტკიცე ცოდნა, როგორიცაა ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა, ხატვა.

პროფესია მოითხოვს კარგ მხედველობას, კონცენტრირებულ ყურადღებას, დაკვირვებას აკურატულობას.

მჭსოველი

მჭსოველის პროფესია მასობრივი პროფესიაა ტრიკოტაჟისა და წინდების ფაბრიკებში, კომბინატებისა და საფეიქრო მრეწველობის სხვა საწარმოებში.

მჭსოველი სპეციალურ მანქანებზე არეგულირებს ძაფის დაჭიმულობას, ცვლის მასრებს, კოჭებს, ნემსებს ან ადიდებს მარყუჟებს. უვლის მანქანას, მკაცრად იცავს უსაფრთხოების ტექნიკის წესებს.

მჭსოველმა უნდა იცოდეს მანქანების დანიშნულება, მოწყობილობა და მუშაობის პრინციპი, გადასამუშავებელი ნართის სახეები და ნორმები, წარმოებაში გამოყენებული მასალების თვისებები. პროფესია მოითხოვს კონცენტრირებულ ყურადღებას. ნორმალურ მხედველობას, აკურატულობას, ხელისა და თითების მოძრაობის კარგ კოორდინაციას.

ამ პროფესიის წარმატებით ასათვისებლად აუცილებელია სასკოლო პროგრამის ფარგლებში ისეთი საგნების კარგი ცოდნა, როგორიცაა ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია, ხატვა.

მკერავ-მემანქანე, მემოტორე

მკერავ-მემანქანე, მემოტორე მუშაობს სამკერვალო საწარმოებში, ერთიანებებში, სამკერვალო ფაბრიკებსა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა საწარმოებში.

უნივერსალურ და სპეციალურ საკერავ მანქანებზე სამარჯვებითა და მათ გარეშე დადგენილი ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად ამზადებს მსუბუქ ტანსაცმელს, თეთრეულსა და სხვა სამკერვალო ნაკეთობებს; აგრეთვე არეგულირებს, მართავს სპეციალურ მანქანებს, დასალიანდაგებელი, კილოების ამოსახვევი ოპერაციების, გამოსაკერებელი დეტალების, ნაპირების ამოსახვევი სამუშაოების შესასრულებლად. წმენდს, ზეთავს და უვლის მანქანებს, ხოლო საჭირო შემთხვევაში აწესრიგებს მანქანის მუშაობაში წარმოქმნილ უწესივრობებს, საბოლოოდ გამოყავს და აუთოებს მზა პროდუქციას.

მუშაობის პროცესში არჩევს ნემსების, ძაფების ნომრებსა და სიგრძეს სხვადასხვა სახის მანქანური გვირისტის, ნაკერის შესაბამისად; აწყობს და არეგულირებს ძაფის დაჭიმულობას, ქსოვილზე თათის დაწოლის ძალას, აყენებს ნემსებს, თათსა და ნაკეთობას ნემსის ქვეშ, სხვადასხვა ქსოვილისათვის არეგულირებს მანქანური გვირისტის სიდიდესა და სიხშირეს, სამუშაოდ ამზადებს თარგს, ამოწმებს მის ხარისხსა და ხაზებს ნახატის ან მოდელის ნიმუშის შესაბამისად. ქსოვილზე აკეთებს პარალელურ, ოვალურ, ტეხილ და ზიგზაგურ გვირისტებს, ამაგრებს გვირისტის ბოლოებს, ნაკერების საშუალებით აერთებს სხვადასხვა ქსოვილის ნაკეთობათა დეტალებს.

მკერავ-მემანქანემ უნდა იცოდეს უნივერსალური და სპეციალური საკერავი მანქანების, გამოყენებული სამარჯვების მოწყობილობა და დანიშნულება, ძირითადი და დამხმარე სამკერვალო მასალების სახეები, მათი დანიშნულება, საკერავი თვისებები, ახალი სახის ქსოვილისაგან დამზადებული ნაკეთობის დამუშავების თავისებურებები, ქალისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის, კოფთების, ქვედატანების, თეთრეულის სახეები და ფასონები, ძირითადი ცნობები ნაკეთობათა კონსტრუქციების შესახებ, მათი დამზადების ტექნოლოგიური თანამიმდევრობა, ცნობები მზა ტანსაცმლის ხარისხის სტანდარტიზაციისა და კონტროლის შესახებ.

მკერავ-მემანქანე უნდა იყოს მუყაითი, შრომისმოყვარე, აკურატული, ყურადღებიანი, უნდა ჰქონდეს კარგი თვალზომა, ხელების მოძრაობის კოორდინაციის უმაღლესი დონე, შეეძლოს კონსტრუქციული წარმოსახვა.

მუშაობაში წარმატებისათვის სპეციალური საგნების გარდა აუცილებელია სასკოლო პროგრამის ფარგლებში მათემატიკის ხაზვის, ხატვის, ქიმიის, ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის მტკიცე ცოდნა.

ფეხსაცმლის ინდივიდუალური კერვის ოსტატი

მკერავის სამუშაო ადგილია — ფეხსაცმლის ფაბრიკები, ინდივიდუალური კერვის ატელიები, ფეხსაცმლის შეკეთების საამქროები.

იგი ასრულებს მამაკაცისა და ქალის ფეხსაცმლის კერვის ყველა ოპერაციას სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შესაბამისად.

დამოუკიდებლად იღებს ტერფის ზომას და ფასონის მიხედვით არგებს კალაპოტს. იყენებს შემკვრელ, გადამჭიმავ და სხვა წნეხებს, აკონტროლებს მასალებისა და პირების ხარისხს, ასწორებს ფეხსაცმლის დეფექტს.

ოსტატმა უნდა იცოდეს ტყავისა და ხელოვნური მასალების თვისებები, ფეხსაცმლის წარმოების ტექნოლოგია, მოწყობილობათა, სამარჯვეებისა და იარაღების დანიშნულება. იცნობდეს ფეხისა და ტერფის ანატომიას, თანამედროვე ფეხსაცმლის ასორტიმენტსა და კლასიფიკაციას.

პროფესია მოითხოვს კარგ მხატვრულ გემოვნებას, მოქმედებათა სიზუსტეს, ყურადღებას, აკურატულობას. აუცილებელია ხაზვის, ქიმიის, ბიოლოგიის და ადამიანის ანატომიის ცოდნა.

მცხობელი

მცხობელი სხვადასხვა სისტემის ღუმლებში ან საცხობ აგრეგატებში აცხობს პურს, პურ-ფუნთუშეულსა და საკონდიტრო ნაწარმს; თვალყურს ადევნებს ცომის გაფუებას მის ღუმელში ჩაკვრამდე და განსაზღვრავს დაყალიბებული ცომის გამოსაცხობად მზადყოფნას. გამოსაცხობად ამზადებს სხვადასხვა სახის ცომის ნამზადს (ბატონებისა და ფუნთუშების გამოცხობის დროს ჭრის მათ მანქანებით ან ხელით და ცომს ზემოდან უსვამს საჭირო მასალას; საბოლოო ნამზადის გამოცხობის დროს აშრობს დათუთქული ცომის ნამზადს); ცომს დებს ფურცლებზე, თვალყურს ადევნებს ღუმლის მუშაობასა და ცხობის პროცესს. საცხობი კამერის ტემპერატურულ და ორთქლის რეჟიმს; არეგულირებს ღუმლის კონვეიერის მოძრაობას; განსაზღვრავს ცხობის დასრულებას; გამოცხობილ ნამზადს იღებს ღუმლიდან; მექანიზებულ ღუმელზე მუშაობისას თვალყურს ადევნებს მექანიზმების მუშაობას პურის დასაჯენად, შესასხურებლად და ამოსაკრებად.

უნდა იცოდეს ღუმლის მოწყობილობა, ცომის საბოლოო ჩადგმის, კამერის, ცომსაჭრელი მანქანის მუშაობის პრინციპი და ექსპლუატაციის წესები; ცომის დაყოფის, მომზადებისა და გამოცხობის ტექნოლოგიური რეჟიმი; მის უბანზე გამომუშავებული ყველა სახის პურ-ფუნთუშის ნაკეთობის სტანდარტები და ტექნიკური პირობები; უნდა შეეძლოს ნახევარფაბრიკატების გამოსაცნობად მზადყოფნის განსაზღვრა.

სამაცივრო დანადგარების ოსტატი

სამაცივრო-დანადგარების ოსტატი ემსახურება, მუხტავს და მიმდინარე შეკეთებას უტარებს სამრეწველო სამაცივრო დანადგარებს, არეგულირებს სამაცივრო მანქანების ელემენტების, დამხმარე აპარატების, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების, მილსადენების მუშაობას, ასრულებს ყინულის მომზადებისა და ყინულდამამზადებელი მექანიზმების, სატრანსპორტო და ამწევი დანადგარების მომსახურების ყოველ ოპერაციას; ცდის სამაცივრო დანადგარებს შეკეთების ან დამუხტვის შემდეგ.

უნდა იცოდეს სხვადასხვა ტიპის სამაცივრო დანადგარების მოწყობილობა, მუშაობის პრინციპი და ექსპლუატაციის წესები. წარმოდგენა უნდა ჰქონდეს სამაცივრო პროცესზე, უნდა იცოდეს მაცივარი აგენტების მახასიათებლები და თვისებები, სამაცივრო დანადგარების მუშაობის რეჟიმები, მათი შეკეთებისა და დამუხტვის წესები, ელექტროსამონტაჟო სამუშაოები — მე-3 თანრიგის ელექტრომონტიორ-შემკეთებლის ცოდნის მოცულობით; სამაცივრო დანადგარის მუშაობის შესახებ დოკუმენტაციის გაფორმების წესი.

ელექტრომოწყობილობათა მომსახურების ელექტრომონტიორი

ამ პროფესიის მუშა ელექტროტექნიკურ მოწყობილობათა პროფილაქტიკურ რემონტს ატარებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოში. მისი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება პატარა ელექტროსადგურების მართვის მთავარი დაფები, სატრანსფორმატორო ქვესადგურების მოწყობილობა, ელექტროსაზომი ხელსაწყოები. საწარმოებში ემსახურება ელექტროძრავების მკვებავი ჯგუფების გამანაწილებელ დაფებს, ათვალიერებს, ზომავს ხვიებისა და საკისარების ტემპერატურას, საჭირო შემთხვევაში შლის ძრავებს, აქრევს გრაგნილებს, რეცხავს საკისარებს, წმენდს კოლექტორებს, ხეხავს ჯაგრისებს, განათებისა და ძალურ ელექტროქსელში ასწორებს დაზიანებებს.

ელექტრომონტიორ-ექსპლუატატორს შეუძლია უმარტივესი ელექტროგაყვანილობის გაკეთება, ძრავების, სანათების დაყენება. მან უნდა იცოდეს ელექტროძრავების, გენერატორების, ტრანსფორმატორების, გამანაწილებელი მოწყობილობის აპარატურისა და

ელექტროხელსაწყოების მოწყობილობა და მუშაობის პრინციპი.

პროფესია მოითხოვს აკურატულობას, მხედველობის სიმახვილეს კონცენტრირებულ ყურადღებას და დისციპლინას. მის ასათვისებლად აუცილებელია საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში ისეთი დისციპლინის მტკიცე ცოდნა, როგორიცაა მათემატიკა, ფიზიკა, ხაზვა.

ელექტრომონტიორი
ელექტრომოწყობილობის შემკეთებელი

ელეტქრომოწყობილობის შემკეთებელი არემონტებს ელექტრომოწყობილობას სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. შლის, არემონტებს და აწყობს ელექტროძრავების, ელექტროაპარატებისა და ელექტროხელსაწყოების საშემდუღებლო და საზომი ტრანსფორმატორების გამანაწილებელი დაფებისა და გამშვებმარეგულირებელი აპარატურის კვანძებსა და დეტალებს. ბრიგადირის ხელმძღვანელობით დიდი სიმძლავრისა და მაღალი ძაბვის ელექტრომანქანებზე ასრულებს საზეინკლო-საშემკეთებლო და დაშლა-აწყობის სამუშაოებს.

გაჰყავს საფიდერო და გამანაწილებელი ქსელი. მონაწილეობს საკაბელე მასით შემაერთებელი ქუროებისა და ძაბრების ამოვსებაში, ძალური საკაბელე ხაზებისა და დამონტაჟებული ელექტრომოწყობილობის გამოცდაში. აყენებს და ქსელში რთავს მრიცხველს, სანათებს; აფეთქებასაფრთხო და ნესტიან სადგომებში ამონტაჟებს სპეციალურ არმატურას.

ელექტრომონტიორი თავისუფლად უნდა ერკვეოდეს ელექტრული მანქანების, ტრანსფორმატორების ელექტროაპარატებისა და ხელსაწყოების სხვადასხვა ტიპებში, უნდა ჰქონდეს დაფებსა და სტენდებზე ელექტრომოწყობილობათა დაყენების მყარი ჩვევები, უნაკლოდ ასრულებდეს საკაბელო ხაზებისა და საჰაერო ელექტროქსელების გაყვანის ტექნიკურ პირობებს, მკაცრად უნდა იცავდეს უსაფრთხოების ტექნიკის წესებსა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს. უნდა იცოდეს ელექტროტექნიკის საფუძვლები, სადენებისა და კაბელების მარკები, მოწყობილობათა შესაკეთებლად აუცილებელი მასალები, პროფესიის უკეთ შეთვისებაში მას დაეხმარება ფიზიკის, მათემატიკის, ხაზვისა და სხვა სასკოლო საგნების მყარი ცოდნა.

აკურატულობა, ხელის მოძრაობის სიზუსტე, მახვილი მხედველობა კონცენტრირებული ყურადღება, სიფრთხილე, დისციპლინურობა — აი ის თვისებები, რომელიც მოეთხოვება ელექტრომოწყობილობათა შემკეთებელ ელექტრომონტიორს.

განათების, ძალური ქსელებისა და ელექტრომოწყობილობათა ელექტრომემონტაჟე

ელექტრომემონტაჟე ასრულებს ყველა სახის ელექტრომონტაჟო სამუშაოს სამრეწველო საწარმოთა, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების მშენებლობაზე. გაჰყავს განათების ელექტროგაყვანილობები, მუხტავს და ამონტაჟებს სანათებს, პროჟექტორებს, სასიგნალო ხელსაწყოების, გაჰყავს კაბელები და გარეთა განათების საჰაერო ქსელები. აყენებს ელექტროძრავებს, გამშვებმარეგულირებელ აპარატურას, გამანაწილებელ დაფებს, მოწყობილობათა მომსახურების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ამიწებს მათ, ამოწმებს ელექტროდანადგარების იზოლაციის საიმსხს, ქოლავს 1000 ვ-მდე ძაბვის კაბელების ბოლოებს. აარმატურებს და აყენებს საყრდენ იზოლატორებს, ამზადებს საჭირო კონფიგურაციის დაფებს, ნიშანდებს მილებს, კაბელებსა და სარინებს. მონტაჟისათვის მზადებისას ასრულებს ძირითად საზეინკლო ოპერაციებს. უმარტივეს ელექტრომედუღების სამუშაოებს, იყენებს მექანიზებულ ხელსაწყოებს, სხვადასხვა სამარჯვებს.

ამ პროფესიის მუშამ უნდა იცოდეს ძირითადი სამონტაჟო მასალები, ნაკეთობები და დეტალები, სადენების მარკები, დასაყენებელი და დამცველი აპარატურის ტიპები. სამუშაოების კვალიფიციურად ჩასატარებლად უნდა შეისწავლოს განათებისა და ძალური დანადგარების ჩართვის სქემები, ელექტროძრავების, ტრანსფორმატორების, ელექტროსაზომი ხელსაწყოებისა და დისტანციური და ავტომატური მართვის ელექტრომოწყობილობანი. აპარატების კონსტრუქციათა ტიპები და მოქმედების პრინციპი. მნიშვნელოვანია აგრეთვე იცოდეს ელექტროტექნიკის საფუძვლები, შეეძლოს სადენების კვეთის გაანგარიშება და დამცველების შერჩევა.

სასკოლო საგნებიდან საჭიროა ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, ხაზვის მტკიცე ცოდნა. ელექტრომემონტაჟე ვალდებულია მუშაობაში იყოს აკურატული, ყურადღებიანი, ფრთხილი.

მეკაბელე-მრჩილავი

მეკაბელე-მრჩილავი საექსპლუატაციო-ტექნიკურ მომსახურებას უწევს დაბალი სიხშირის კაბელებს, რომელთაც აქვთ ქაღალდის იზოლაცია, წყვილად ნაგრეხ კაბელებსა და მათ ბოლო მოწყობილობებს. მასვე ევალება კაბელების, საკაბელო ყუთებისა და ბოძების მიმდინარე შეკეთება და მონტაჟი, ბოლოების მოქლონვა, უწესივრობების გასწორება; თვალყურს ადევნებს კაბელების ტრასის მდგომარეობას ასრულებს მიწის სამუშაოებს.

მან უნდა იცოდეს ელექტროტექნიკისა და ტელეფონიის საფუძვლები, კავშირგაბმულობის საკაბელე ხაზების მოწყობილობა, საქალაქო და საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობის ხაზებში გამოყენებული კაბელების მარკები, საბოლოო საკაბელე მოწყობილობების ნუმერაცია, აირანალიზატორის ხმარების წესები; წარმოდგენა უნდა ჰქონდეს კაბელების პირველად ელექტრულ პარამეტრებზე.

ზეინკალ-ელექტრომემონტაჟე

ზეინკალ-ელექტრომემონტაჟე ამონტაჟებს, აწყობს, არეგულირებს და აბარებს სხვადასხვა ჩარხებისა და მანქანების რთულ კვანძებსა და ელექტრომოწყობილობებს, აგრეთვე საწარმოო საამქროებსა და ელექტროსადგურებში მუდმივი და ცვლადი დენის ელექტრულ მანქანებს, ავლენს ელექტროაპარატურის აწყობის, დაყენებისა და გამოცდის დროს წარმოქმნილ დეფექტებს; აბალანსირებს მანქანათა რთულ კვანძებს, ამონტაჟებს და შლის მაღალი ძაბვის მოწყობილობებს.

მან უნდა იცოდეს ასაწყობი და დასაყენებელი ტრანსფორმატორებისა და მათი მაღალძაბვიანი აპარატურის მოწყობილობა და დანიშნულება, მოწყობილობათა მონტაჟის მანქანების, აგრეგატების, აპარატებისა და ელექტროხელსაწყოების დაშლა-აწყობის ტექნოლოგიური თანმიმდევრობა, სინქრონული და ასინქრონული მძლავრი მანქანების მუშაობის პრინციპი, ქვესადგურების აღჭურვილობის მოწყობილობა, დიდი ტვირთამწეობის ამწეებისა და რთული ჩარხების ელექტრომოწყობილობა, მანქანების მონტაჟის ტექნიკური პირობები, ელექტრომოწყობილობების სქემები.

მეაპარატე

(ქიმიურ მრეწველობაში)

მეაპარატე ემსახურება აპარატებს, რომლებშიც მიმდინარეობს ქიმიური რეაქციები; აკონტროლებს აპარატში მიღებული ნივთიერებების რაოდენობასა და ხარისხს; ანგარიშობს და არეგულირებს ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, ორთქლის, წყლის, ელექტროენერგიის მიწოდებას. თვალყურს ადევნებს ავტომატური მოწყობილობების მუშაობას; ასწორებს აპარატებში, მილსადენებში, ხელსაწყოებსა და მექანიზმებში არსებულ უწესივრობებს; აუცილებელ შემთხვევაში იძახებს შემკეთებელ მუშებს.

უნდა იცოდეს წარმოების ძირითადი ეკონომიკური კანონები, ქიმიური ტექნოლოგია და სქემა; მომსახურების უბანზე არსებული მოწყობილობების, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების, არმატურისა და კომუნიკაციების მუშაობის პრინციპი და ექსპლუატაციის წესები; ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, სათბობისა და სხვა გამოყენებული და მიღებული ქიმიური ნივთიერებების ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური თვისებები, აგრეთვე ნედლეულისა და მზა პროდუქციის ტექნიკური პირობები; მომსახურების უბანზე ტექნოლოგიური პროცესის ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლები და არსი; უნდა იცოდეს წარმოების კონტროლისათვის აუცილებელი ანალიზების ჩატარების მეთოდიკა, საზეინკლო საქმე. კარგად უნდა იცოდეს და დაიცვას უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის წესები.

ამ პროფესიის წარმატებით ათვისებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი საგნების მტკიცე ცოდნას, როგორიცაა ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა, მათემატიკა.

ქიმიური ბოჯკოს მგრეხავი

მგრეხავი თვალყურს ადევნებს თითისტრების მუშაობას, უშვებს და აჩერებს მათ; ცვლის განთავისუფლებულ ბობინებს; ხსნის ჩაგრეხილძაფიან მასრებს; იღებს ჩაგრეხილ ძაფებს; თვალყურს ადევნებს ძაფგამტარი სისტემის მდგომარეობას; უვლის მანქანას; თვალყურს ადევნებს ჰაერისა და ძაფის ტენიანობას. მის დაჭიმულობას.

მან უნდა იცოდეს ძაფის გრეხის ტექნოლოგიური პროცესი და

მისი გაწყობის სქემა; მანქანების მოწყობილობა, მუშაობის პრინციპები და ექსპლუატაციის წესები; ბოჭკოს ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, ბოჭკოსადმი და მანქანის ძაფგამტარი დეტალების ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნები, წუნის ყველა სახეები, მათი წარმოშობის მიზეზები, და ლიკვიდაციის გზები.

პროფესიის წარმატებით დასაუფლებლად აუცილებელია ისეთი საგნების მტკიცე ცოდნა, როგორიცაა ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა, ხატვა.

პროფესია მოითხოვს კარგ მხედველობას, კონცენტრირებულ ყურადღებას, დაკვირვებულობასა და აკურატულობას.

გადამხვევი

გადამხვევი ემსახურება გადამხვევ მანქანებს, რომლებზეც ხელოვნური აბრეშუმი სართავი საფუთავიდან ეხვევა კონუსურ ბობინებს; უშვებს და აჩერებს თითისტარებს; აბამს გაწყვეტილ ძაფებს; ხსნის გადახვეულ პროდუქციას; იცავს დადგენილ რეჟიმს; თვალყურს ადევნებს აბრეშუმის გადახვევის ხარისხს, ძაფგამტარი სისტემის მდგომარეობას.

მან უნდა იცოდეს აბრეშუმის გადახვევის ტექნოლოგიური პროცესი, ძაფის გაწყობის სქემა, გადასახვევი პროდუქციის ასორტიმენტი; აბრეშუმის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები; მისი ტექნოლოგიური პირობები, აბრეშუმის გადახვევის ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნები; წუნის სახეები, მისი წარმოშობისა და ძაფის წყვეტის მიზეზები; მათი თავიდან აცილების ღონისძიებები; მოწყობილობის მოვლის რეჟიმი.

ლაბორანტი

ლაბორანტი წარმოების პროფილისა და მიღებული მეთოდიკის შესაბამისად ატარებს სხვადასხვა სახის ანალიზს. ემსახურება სხვადასხვა ლაბორატორიულ მოწყობილობებს, აპარატურასა და საკონტროლო-საზომ ხელსაწყოებს; ხშირად მის კვალიფიკაციასა და კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, ავტომატური ხაზების დაცულობა, ექსპერიმენტებისა და ღმოჩენების შედეგები.

მან უნდა იცოდეს ლაბორატორიის მოწყობილობა, იქ ჩატარებუ-

ლი სამუშაოების ხასიათი, ნივთიერებათა თვისებები, რომელთანაც საქმე აქვს; უნდა შეეძლოს აუცილებელი ხელსაწყოების გამოყენება: სხვადასხვა სინჯის, მადნის, ხსნარების, რეაქტივების, კონცენტრატების, მეტალურგიული პროცესების, პროდუქტების, მზა პროდუქციის, დამხმარე მასალების, ნარჩენების, სათბობისა და მინერალური ზეთების ქიმიური შედგენილობების მასობრივი ანალიზების წარმოება დადგენილი მეთოდიკის მიხედვით.

მისი წარმატებით მუშაობა შეუძლებელია ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, მათემატიკის ცოდნის გარეშე.

ეს პროფესია მოითხოვს განვითარებულ აზროვნებას, მაღალ განათლებას, ყურადღებასა და განსაკუთრებულ სიფრთხილეს მუშაობაში.

ელმავლის მემანქანის თანაშემწე

ელმავლის მემანქანის თანაშემწე ასრულებს საზეინკლო-სარემონტო სამუშაოებს (მონიშვნას, ჭრას, მოქლიბვას, დეტალების გაწმენდას, სადენების გადაბმასა და რჩილვას), სამგზავროდ ამზადებს ელმავლებს; ემსახურება მათ გზაზე სვლის დროს გაჩერებებზე; თვალყურს ადევნებს მის მუშაობას, მატარებლის სვლას, სიგნალებს გზასა და სადგურებზე, გზისა და საკონტაქტო ქსელის მდგომარეობას, ელმავალს ღებულობს და აბარებს დეპოში და სადგურებში; არემონტებს მექანიზმების დეტალებს.

მან უნდა იცოდეს ელმავლის კვანძები და მექანიზმები, მათი მოწყობილობა, დანიშნულება და მუშაობა, ელმავლის უწესივრობების ძირითადი სახეები და მიზეზები; ელმავლის სამგზავროდ მომზადების, ელმავლის მიღების, მომსახურების, დათვალიერებისა და ჩაბარების წესები; ელმავლის მომსახურებისა და რემონტის დროს გამოყენებული ძირითადი მასალები, ხელსაწყოები და სამარჯვები; საზეთი მასალების თვისებები მათი დანიშნულება და გამოყენება; საზეინკლო-ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულების ძირითადი წესები და ხერხები; ელმავლის რემონტის კლასიფიკაცია, მათი დახასიათება, რემონტის ტექნოლოგია; ელექტროდეპოს სტრუქტურა, ელმავლების ზამთრის პირობებში სამუშაოდ მომზადების წესი; ელექტროტექნიკის ძირითადი კანონები; მატარებლების ფორმირებისა და მისი წონის გაანგარიშების წესები, ღერძების რიცხვი და სამუხრუჭო დაწოლა; ტექნიკური ექსპლუატაციის წესები, სიგ-

ნალიზაციისა და მატარებლის მოძრაობის ინსტრუქციები, თანამდებობრივი ინსტრუქცია; უნდა შეეძლოს ნახაზებისა და სქემების კითხვა.

სამგზავრო ვაგონის გამცილებელი

სამგზავრო ვაგონის გამცილებელი თვალყურს ადევნებს ვაგონის ტექნიკურ მდგომარეობას და ემსახურება მგზავრებს გზაში; უზრუნველყოფს მგზავრების ჩასხდომასა და გადმოსხდომას; ათავსებს მგზავრებს ვაგონში სამგზავრო დოკუმენტების შესაბამისად; უზრუნველყოფს გათბობის, განათების, ვენტილაციისა და სამაცივრო დანადგარების მოწყობილობათა ნორმალურ მუშაობას; მგზავრებს ატყობინებს გაჩერების დასახლებასა და მატარებლის დგომის დროს; სველი და მშრალი წესით ასუფთავებს ვაგონს.

მან უნდა იცოდეს ყველა ტიპის სამგზავრო ვაგონის მოწყობილობა; გათბობის ელექტრომოწყობილობის მდგომარეობა და მომსახურების წესი; სახანძრო უსაფრთხოების წესები; სამგზავრო მატარებლების მოძრაობის სასამსახურო გრაფიკების მოხმარების წესი; სამგზავრო ვაგონების გამცილებლის ინსტრუქცია; მგზავრებისა და ბარგის გადაზიდვის წესები სსრკ რკინიგზებზე.

სცბ-ს ელექტრომონიტორი

სცბ რკინიგზის სიგნალიზაციის, ცენტრალიზებული მართვისა და ბლოკირების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებია ისრებისა და სიგნალების კონტროლისათვის. სცბ-ს მოწყობილობები აწარმოებს ბლოკირებას და უზრუნველყოფს მატარებლის უსაფრთხო მოძრაობას რკინიგზებსა და მეტროპოლიტენში.

ელექტრომონიტორი ნახაზების, სქემების გამოყენებით ამონტაჟებს, არეგულირებს მოქმედებაში გასაშვები სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების უახლეს მოწყობილობებს, ემსახურება რკინიგზებისა და მეტროპოლიტენების ექსპლუატაციაში მყოფ უბნების მოწყობილობებს და წესრიგში აქვს ისინი.

სცბ-ს მონიტორი ვალდებულია იცოდეს ავტომატური სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების მოწყობილობა და მუშაობის პრინციპი, მათი მონტაჟის ტექნიკური პირობები, დაზიანების გამოსწორების ხერხები, დაზიანებული მოძრავი შემადგენლობების ტექნიკური ექსპლუატაციის წესები. გარდა ამისა, იგი უნდა

იცნობდეს რკინიგზის ტრანსპორტზე ავტომატიკისა და ტელემექანიკის საშუალებათა რემონტის ორგანიზაციას, სიგნალიზაციისა და მატარებლების მოძრაობის ინსტრუქციებს.

ამ პროფესიისათვის დამახასიათებელია ისეთი თვისებები, როგორიცაა ფართო თვალთახედვა, ყურადღებიანობა, სიფრთხილე, მუდმივი სიფხიზლე.

სასკოლო საგნებიდან აუცილებელია ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ხაზვის მყარი ცოდნა.

ტროლეიბუსის მძღოლი

ტროლეიბუსის მძღოლი კონტროლიორის სატერფულისა და საჭის ბორბლის საშუალებით მართავს ტროლეიბუსის მოძრაობას მუხრუჭებსა და კარების გაღებისა და დახურვის მექანიზმს.

მან უნდა იცოდეს თავისი მარშრუტი და თითოეულ გადასარბენზე გაჩერებებს შორის განსაზღვროს მოძრაობის სიჩქარე; იცოდეს ტროლეიბუსის მოწყობილობა; შეეძლოს გზაში პატარა უწესივრობების გამოსწორება; ძალიან კარგად უნდა იცოდეს ქუჩაში მოძრაობისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესები; აგრეთვე ფიზიკის, ელექტროტექნიკის, მანქანის ტარების საფუძვლები; შეეძლოს საზეინკლო სამუშაოების შესრულება; მგზავრებთან ურთიერთობაში უნდა იყოს თავშეკავებული და ყურადღებიანი.

ავტომობილების შემკეთებელი ზეინკალი

ავტომობილების შემკეთებელი ზეინკალი არემონტებს, შლის და აწყობს ავტომანქანებისა და ტრაქტორების ყველა კვანძს, ამოწმებს და ცდის ამ კვანძებს; არგებს და არეგულირებს რთულ დეტალებს, ფეხისა და ხელის მუხრუჭებს; უნდა იცოდეს სხვადასხვა მარკის ავტომანქანების ტრაქტორებისა და შიგაწვის ძრავების მოწყობილობა; მანქანების რეგულირების, გამოცდისა და მიღების ტექნიკური პირობები; მანქანის კვანძის დაშლის, აწყობისა და შეკეთების წესები და თანამიმდევრობა; ნედლი და თერმულად დამუშავებული ლითონების ძირითადი თვისებები; საკონტროლო-საზომი და საზეინკლო-საამწყობო ხელსაწყოებისა და სამარჯვების დანიშნულება და გამოყენების ხერხები; ავტოსაშემკეთებლო საქმეში ხმარებული დაშვებებისა და ჩასმების სისტემა.

ტელეფონისტი

ტელეფონისტი მუშაობს სატელეფონო სადგურში. ეს პროფესია მოითხოვს კარგ დიქციასა და ლაპარაკის კულტურას. ტელეფონისტის ძირითადი მოვალეობაა აბონენტის გამოძახებაზე პასუხის გაცემისას უზრუნველყოს მისი სხვა აბონენტთან სწორი შეერთება, ლაპარაკის პროცესში თვალყური ადევნოს სმენადობის ხარისხს და ლაპარაკის დასრულების შემდეგ დროულად გამორთოს ტელეფონი.

ტელეფონისტი ასწორებს მარტივ უწესივრობებს, რისთვისაც მან უნდა იცოდეს სატელეფონო სადგურის ძირითადი კვანძების მოწყობილობა და აგრეთვე სატელეფონო აპარატების მოქმედების პრინციპები.

ტელეგრაფისტი

ტელეგრაფისტი გადასცემს და ღებულობს ტელეგრამებს (მორზეს აპარატების ან იმ აპარატების საშუალებით, რომელზეც მიღებული ტელეგრამები იბეჭდება ქაღალდზე პირდაპირ ასოებით); ტექნიკურ მომსახურებას უწევს — ზეთავს ან წმენდს კვანძებს და დეტალებს, ცვლის ლენტს და ა. შ.

გარდა ამისა, ტელეგრაფისტები გამგზავნებისაგან ღებულობენ ტელეგრამებს, ახარისხებენ მათ გადასაცემად, ადრესატებზე მისაწოდებლად, აკონტროლებენ ტელეგრამების მიმტანი ფოსტალიონების მუშაობას.

ტელეგრაფისტები იყოფა სამ კლასად (შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის, მათი სახეების, ტელეგრამების მიღებისა და გადაცემის სიჩქარის ნორმების გამომუშავების მიხედვით).

ხელით ასოთამწყობი

ნაბეჭდი პროდუქციის ასოთამწყობის ყველა ოპერაცია მანქანების საშუალებით არ სრულდება. სტრიქონების დაკომპლექტება, რთული ცხრილების, სათაურების, ფორმულების აწყობა, ანაწყობის სწორება, ნახატების განლაგება და სხვ. —ყველა ამ საქმეს ასრულებს ხელით აწყობის ასოთამწყობი. მისი სამუშაო ადგილია — სა-

ოლქო, საქალაქო და რაიონული სტამბები, პოლიგრაფიული კომ-
ბინატები, წიგნის ფაბრიკები.

ამ პროფესიის მუშის კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული აწყო-
ბილი ტექსტის დაკაბადონების ხარისხი.

ასოთამწყობმა კარგად უნდა იცოდეს შრიფტები, ორიგინალე-
ბის ასაწყობად მონიშვნის საგამომცემლო სისტემა, სხვადასხვა სა-
ხის ასოთამწყობის ტექნოლოგია, გამოცემათა გაფორმების გრაფი-
კული მეთოდები და ხერხები. აუცილებელია აგრეთვე იცოდეს სას-
ტამბო შენადნობების დასამზადებლად გამოყენებული მასალები,
ქაღალდისა და საღებავი ნივთიერებების ხარისხი, პოლიგრაფიული
წარმოების საფუძვლები, კომპოზიციისა (აგების) და ფერების გა-
დაწყვეტის წესები პოლიგრაფიული პროდუქციის გაფორმების
დროს, აგრეთვე გრაფიკისა და ხატვის საფუძვლები, ბეჭდვითი გა-
მოცემების გაფორმებისადმი წაყენებული მოთხოვნები.

ასოთამწყობის საერთო მაღალი კულტურა ეხმარება მას ჩაწვდეს
ასაწყობი ტექსტის აზრს, ამასთან მან კარგად უნდა იცოდეს რუსუ-
ლი და მშობლიური ენა, ლათინური და ბერძნული ანბანი, უნდა
ჰქონდეს ხელების და თითების მოძრაობის კარგი კოორდინაცია,
მახვილი მხედველობა, კონცენტრირებული ყურადღების შენარჩუ-
ნების უნარი.

მაღალი ბეჭდვის მბეჭდავი

ეს ერთ-ერთი წამყვანი პროფესიაა პოლიგრაფიულ საწარმოში.
მბეჭდავი სპეციალურ მანქანებზე ბეჭდავს სხვადასხვა პოლიგრა-
ფიულ პროდუქციას, რომლის მეშვეობითაც შეღებილი ფორმის
ტექსტი წნევით გადაეცემა ქაღალდზე. თანამედროვე საწარმოებში
საწარმოო პროცესები (ქაღალდის მიწოდება, საღებავის დადება,
წნევის შექმნა და ფურცლის გამოღება) ძირითადად მექანიზებუ-
ლი და ავტომატიზებულია.

ვიდრე ბეჭდვას შეუდგებოდეს, მბეჭდავი გულმოდგინედ უნდა
მოემზადოს ამისათვის. შეამოწმოს ქაღალდის გამომღები მოწყობი-
ლობა, შეზეთოს და გააწყოს მანქანა, მოამზადოს საჭირო რაოდე-
ნობის ქაღალდი, საზომი ხელსაწყოს მეშვეობით დააყენოს პირდა-
პირი ხაზები და სწორი კუთხეები (ამ ოპერაციას ეწოდება ანაწ-
ყობი ფორმების გათანაბრება). საამწყობო საამქროდან საბეჭდ
ფორმის მიღების შემდეგ მუშა ასწორებს მათ (არეგულირებს მან-

ქანის წნევას), ამოწმებს საკონტროლო ანაბეჭდებს და აუცილებლობის შემთხვევაში ფორმას აბრუნებს შესასწორებლად. მბეჭდავი ამზადებს მანქანის მღებავ აპარატს, რეცხავს და აყენებს ლილვაკებს, ერთმანეთში ურევს საღებავებს სასურველი ფერის მისაღებად, საბოლოოდ აყენებს ფორმას, მზადების დასრულების შემდეგ იწყებს ბეჭდვას.

მბეჭდავმა უნდა იცოდეს ანაწყობი ფორმების დამზადების ტექნოლოგიური პროცესი, შეეძლოს გამოცემათა ფორმატების განსაზღვრა, საბეჭდი მასალის განლაგება; უნდა იცოდეს ყველა ტიპის საბეჭდი მანქანის მოწყობილობა და ექსპლუატაციის წესები, მზა პროდუქციისადმი წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები, მკაცრი ანგარიშების პროდუქციის ბეჭდვის წესები, სხვადასხვა ხარისხის ქაღალდის თვისებები და შეეძლოს მასზე წარმოქმნილი ელექტროსტატიკური მუხტების მოცილება.

მოცემული პროფესიისათვის სავალდებულოა ისეთი თვისებები, როგორიცაა ყურადღებიანობა და სიფრთხილე, მოძრაობათა კოორდინაცია, დაკვირვებულობა, სწრაფი და ზუსტი რეაქცია, ყველა სასკოლო საგნის მყარი ცოდნა, კარგი ესთეტიკური გემოვნება და მაღალი კულტურა.

ბრძმედის ღუმლის მექურე

ბრძმედის ღუმლის მექურეს უნდა შეეძლოს: ბრძმედის ღუმლიდან თუჯისა და წიდის გამოშვება, თუჯის კრიჭის გახსნა, საწიდე კრიჭის ბუდის დაშლა და აწყობა, საწიდე არხის დატენა და მოპოხვა, წიდის გამოშვებისას არეგულიროს საწიდე საჩერები, აიღოს წიდის სინჯი, მოამზადოს და გამოცვალოს საწიდე მოწყობილობა და თუჯის გამოსაშვები მთავარი ღარი, განსაზღვროს გამოსაშვები წიდის გახურების ხარისხი და შედგენილობა. ყურადღება მიაქციოს საწიდე ქშენების მდგომარეობას, უთვალთვალოს საწიდე ციცხვების შევსებას, მონაწილეობა მიიღოს ქურის მიმდინარე რემონტში, მართოს სხვადასხვა კონსტრუქციის ტვირთამწეები, რომლებიც აღჭურვილია სხვადასხვა ტვირთსატაცი ხელსაწყოებით, შეასრულოს დაჯამბარების სამუშაოები.

ბრძმედის ღუმლის მექურემ უნდა იცოდეს აგრეთვე ბრძმედის ღუმელში თუჯის გამოდნობის ტექნოლოგიური პროცესი, ბრძმედული დნობის ნედლეული მასალების ქიმიური შედგენილობა და

ფიზიკური თვისებები, მათი მომზადების თანამიმდევრობა, ცეცხლგამძლე მასალების, ბრძმედის პირის, ბრძმედის წიდების შედგენილობა და თვისებები, ნახაზებისა და სქემების კითხვის წესები, ბრძმედის ღუმლის მოწყობილობა, შეძლოს დაზარალებულისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა უბედური შემთხვევის დროს.

ფეროშენადნობის მდნობელი

ფეროშენადნობების მდნობელს უნდა შეეძლოს ტექნოლოგიური პროცესების ყველა სამუშაოს ჩატარება, ჩამტვირთავი მანქანის აშუალებით ღუმელში კაზმის დაშლა, ჩამოსასხმელი მანქანით თუჯის ჩამოსხმა, ხელით მოურიოს და მიაწოდოს კაზმი ღუმლის საკერძეს, ინსტრუქციისა და გრაფიკის შესაბამისად წარმართოს ფეროშენადნობების და წიდის გამოდნობის, ჩამოსხმისა და დამარცვლის პროცესი, განსაზღვროს ფეროშენადნობების, წიდის, კაზმისა და სხვა გამოსაყენებელი მასალების ხარისხი, ყურადღება მიაქციოს კაზმის დროულად მიწოდებას, მომსახურე დანადგარების მდგომარეობას და მასალების, ხელსაწყოების, დამცავი საშუალებების რაციონალურად გამოყენებას. აწარმოოს ლითონმიმღების გაწყობა, დადგმა და გახურება, გარეგანი შესახედაობით განსაზღვროს საკაზმე მასალების ვარგისიანობა, ტექნოლოგიური პროცესი.

გარდა ამისა, ფეროშენადნობების მდნობელმა უნდა იცოდეს სხვადასხვა მარკის ფეროშენადნობების გამოდნობის ტექნოლოგიური პროცესი, ელექტრომეტალურგიისა და ელექტროტექნიკის საფუძვლები, საკაზმე მასალების თვისებები, ფეროსადნობი ღუმლის მოწყობილობა და მისი მომსახურების მეთოდები, ღუმლის დატვირთვისა და ჩატვირთვის რეჟიმი, უსაფრთხოების ტექნიკის, ელექტროუსაფრთხოების, სახანძროუსაფრთხოების, შრომის ჰიგიენისა და საწარმოო სანიტარიის წესები.

ფართო პროფილის გამამდიდრებელი

ფართო პროფილის გამამდიდრებელს უნდა შეეძლოს გამამდიდრებელი ფაბრიკის ძირითადი და დამხმარე მოწყობილობის მომსახურება, მართვის პულტის ცალკეული ტექნოლოგიური რგოლების გაშვება და გაჩერება, მოცემული ტექნოლოგიური რეჟიმის კონტ-

როლი და მისი რეგულირება, უზრუნველყოს გამამდიდრებელი მანქანების თანაბარზომიერი და უწყვეტი ჩატვირთვა, ფრაქციული ანალიზისა და ქიმიური შედგენილობის მიხედვით, შეამოწმოს გამამდიდრებელი პროდუქციის ხარისხი; აწარმოოს ექსპრეს ანალიზი, გასამდიდრებელი პროდუქტებიდან აიღოს სინჯი, მოახდინოს ქლოროვანი თუთიის წყლიან ხსნარში სინჯის განშრევება, მიღებული მონაცემების მიხედვით არეგულიროს გამდიდრების ტექნოლოგიური პროცესი, ისარგებლოს ავტომატიზებული კონტროლისა და ტექნოლოგიური პროცესების მარეგულირებელი საშუალებებით.

გარდა ამისა, ფართო პროფილის გამამდიდრებელმა უნდა იცოდეს სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების საფუძვლები — ქვანახშირის, მურა ნახშირის და ანტრაციტის, ფერადი, შავი და იშვიათი ლითონების ძირითადი მონაცემები; უბედური შემთხვევისას შეძლოს დაზარალებულისათვის პირველი სამედიცინო დახმარების გაწევა.

ჭაბურღილების მბურღავი

ჭაბურღილების მბურღავს უნდა შეეძლოს საბურღი დანადგარებისათვის სამუშაო ადგილის მომზადება, მოცემული დახრის კუთხითა და ჭაბურღილის მიმართულებით დააყენოს საბურღი დაზგა, ჩაატაროს საბურღი მოწყობილობების დაშლა აწყობა, გადაადგილება და რეგულირება, მიმდინარე რემონტი და მონაწილეობა მიიღოს საბურღ მოწყობილობათა საშუალო რემონტში. საბურღი დაზგით განახორციელოს ჭაბურღილის ბურღვის ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც ღია სამთო სამუშაოებისას გამოიყენება, მიიღოს გამაფრთხილებელი და ავარიის სალიკვიდაციო ზომები, ააწყოს და დაშალოს საბურღი და ავარიული ხელსაწყოები, მონაწილეობა მიიღოს სარეცხი ხსნარების მომზადებაში, სამუშაოები შეასრულოს შრომის მოწინავე ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით.

